ქრონიკა ინფორმაცია

ხელდასხმა

9 დეკემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიაკვნად აკურთხა სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძართან არსებული მამათა მონასტრის საძმოს წევრი, **ბერი მირიანი (შენგელია).**

ბერ-დიაკონი მირიანი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

***

19 დეკემბერს თემქის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკონ ექვთიმე ჭინჭარაულს.**

მღვდელი ექვთიმე მცხეთის წმინდა ჯვრის სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

***

23 დეკემბერს გორის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში სამთავისისა და გორის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის თავისუფალი მსმენელი **თემურ ტაბაღუა** და სახელად **ნიკოლოზი** უწოდა.

დიაკონი ნიკოლოზი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

***

27 დეკემბერს კრწანისის წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახელობის მამათა მონასტერში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი მახათის მთის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკონ დიონისეს (ტორაძე).**

მღვდელ-მონაზონი დიონისე მახათის მთის მონასტერში იმსახურებს.

***

29 დეკემბერს მარტყოფის ღვთაების სახელობის მამათა მონასტერში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ამავე მონასტრის **ბერ-დიაკონ ანტონს (შენგელია).**

მღვდელ-მონაზონი ანტონი მარტყოფის ღვთაების სახელობის მონასტერში იმსახურებს.

***

30 დეკემბერს გორთაფონის წმინდა იოსებ მამათმთავრის სახელობის მამათა მონასტერში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი მახათის მთის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკონ იოსებს (ანჯაფარიძე),** ხოლო დიაკვნად აკურთხა **მამუკა მახარაძე** და სახელად **მიქაელი** უწოდა.

მღვდელ-მონაზონი იოსები მახათის მთის მონასტერში იმსახურებს.

დიაკონი მიქაელი ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

აღკვეცა

12 დეკემბერს თბილისის წმინდა ჯვრის სახელობის დედათა მონასტერში სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) მონაზვნად აღკვეცა ამავე მონასტრის სამონაზვნეები: **ნინო ავაზაშვილი** — სახელად ეწოდა **მარიამი** და **თეკლე ბერიშვილი** — სახელად ეწოდა **თეოდორა.**

ტაძრის საფუძვლის კურთხევა

8 იანვარს გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) ელიავას მიმდებარე ტერიტორიაზე, მლეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის საფუძველი აკურთხა.

დაჯილდოება

23 დეკემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრით — ქუთაის-გაენათის ეპარქიის მღვდელმსახურნი: **დეკანოზი დავით ჯანელიძე** და **დეკანოზი რომანოზ აბზიანიძე**; მცხეთა-თბილისის ეპარქიის მღვდელმსახურნი: თბილისის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის (ლურჯი მონასტერი) მღვდელმსახური, **დეკანოზი ნიკოლოზ ბურდილაძე**; ვარკეთილის წმინდა ილია მართლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი სამოელ ზვიადაური.**

***

6 იანვარს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და იღუმენიას წოდება მიანიჭა კუმისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარს, **მონაზონ სალომეს (შერაშაშვილი).**

რეზო ჩხეიძე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე დოკუმენტურ ფილმს იღებს

ცნობილი ქართველი კინორეჟისორი, რეზო ჩხეიძე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე დოკუმენტურ ფილმს იღებს.

კინოკომპანია „გრან-პრის" პრეზიდენტმა (მსახიობმა) ზურაბ ცინცქალაძემ, რომელიც აქტიურად გახლავთ ჩართული ფილმის გადაღების პროცესში აღნიშნა: „რეზო ჩხეიძის იდეა იყო, პატრიარქზე ფილმი გადაეღო. როგორც ჩანს, მადლიანი საქმე ყოველთვის მადლიანად იწყება. ბატონი რეზო დეკემბერში ჩამოვიდა მოსკოვიდან; გავიგეთ, რომ უწმინდესი ჩეხეთიდან (სადაც დასასვენებლად

შური; ალექსანდრე ციხელაშვილი; ნიკო ხერკელაძე; შარაბ ხოჭოლავა; გურამ გუნია.

გამოფენა ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრების 35 და დაბადების 80 წლის იუბილეს.

ხელდასხმა

22 იანვარს თელეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მარტყოფისა და გარდაბნის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის დიაკონ ათანასე ხარებაშვილს.

აღკვეცა

10 იანვარს თბილისის თაბორის მთის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტერში არქიმანდრიტმა ბართლომემ (ფირცხალაშვილი) ბერად აღკვეცა ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის დიაკონი ბარნაბა (დარახველიძე) და სახელად ისაია უწოდა.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" თანამშრომელ ნინო ხოფერიას გარდაეცვალა დედა — ნატალია ვანიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ნატალიას სული.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

გასტროენტეროლოგი — 31 იანვარს, 15.00-16.00 სთ.;
ანგიოლოგი — 1 თებერვალს, 13.00-14.00 სთ.
კარდიოლოგი — ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) — 13.00-15.00 სთ.

სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.

35-ე კვირა სულთმოფენობიდან

მოგვეცი უფალო სიხარული — სიხარული ნათლად ხედვისა!

და იყო ვითარცა მიეახლნეს იერიქოდ, ბრმაი ვინმე ჯდა გზასა ზედა მთხოველად. უთხრეს მას, ვითარმედ: იესუ ნაზარეველი წარმოვალს. და მან ღაღად-ყო და თქუა: იესუ, ძეო დავითისო, შემიწყალე მე! ხოლო რომელნი წინა-უძღოდეს, ჰრისხვიდეს მას, რაითა დადუმნეს. ხოლო იგი უფროის ღაღადებდა და იტყოდა: იესუ, ძეო დავითისო, შემიწყალე მე! და დადგა იესუ და ბრძანა მოწოდებაი მისი. და ვითარცა მოეახლა იგი, ჰკითხა მას: რაი გნებავს, და გიყო შენ? ხოლო მან ჰრქუა: უფალო, რაითა აღვიხილნე თუალნი. ხოლო იესუ ჰრქუა მას: აღიხილენ! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. და მეყსეულად აღიხილნა და მისდევდა მას და ადიდებდა ღმერთსა. და ყოველმან ერმან იხილეს და აქებდეს ღმერთსა (ლუკ. 18, 35–43).

ბრმამ, რომელიც იერიქონის კარიბჭესთან იჯდა, იცოდა, რომ ბრმა იყო, ჩვენც ბრმები ვართ, მაგრამ ეს არ ვიცით. მან იცოდა, რადგან მის გარშემო ყველა ამბობდა, ვხედავთო, ის კი — ვერა; შეეძლოთ აღეწერათ მისთვის, რასაც წვდებოდა მათი მზერა, მას კი არ ძალუძდა გაეგო, რას აკლდებოდა.

ჩვენ ბრმები ვართ! მაგრამ თუკი შეეედრებით წმინდანებს — ისეთივე ადამიანებს, როგორებიც ჩვენ ვართ, თუმცა სულით განათლებულებს, გულითა და გონებით მჭვრეტელებს — მაშინ მივხვდებით, რამდენ რამეს ვერ ვხედავთ. ჩვენი მთავარი უბედურება ისაა, რომ ცოტაა ჩვენ შორის ჭვრეტით დაჯილდოებული ადამიანი; და კიდევ უფრო დიდი უბედურებაა, რომ გვჯერა, თითქოს ასეთი მდგომარეობა ნორმალურია. თუ მაინც ვინმე, ისიც იშვიათად, ხედავს, ისმენს, გრძნობს, იმეცნებს, განიცდის სხვაგვარად, მათ არანორმალურად ვთვლით.

იმ ადგილებში, სადაც მოღვაწეობდნენ წმინდანები, მათ ადამიანები ექცეოდნენ ისევე, როგორც მოექცნენ ქრისტეს — უსმენდნენ უნდობლად, იღებდნენ მათ სიტყვას დაცინვით, მათ რჩევებს ყურს არ უგდებდნენ, მათ კვალს არ მისდევდნენ. ზოგიერთი გაოცებული იყო იმით, რაც ამ ადამიანებს მიეცათ, მაგრამ ამას მიიჩნევდნენ იმდენადვე უჩვეულოდ, რამდენადაც არაბუნებრივად, ხოლო მათკენ სწრაფვას — აზრგაცლილად. ამგვარადვეა ახლაც, ჩვენ ბრმანი ვართ, ვერ ვხედავთ, ვერ ვგრძნობთ; დავუსვათ თავს კითხვა: რას ვერ ვხედავთ, როდის ვართ ბრმანი? და მაშინ იქნებ ჩვენც მოგვივიდეს აზრად მოსმენა და ვეცადოთ რამის გაგებას.

ბრმები ვართ იმიტომ, რომ ღმერთი ჩვენ შორისაა, ტაძარში, ტაძრის გარეთ — ყველგან, ჩვენ კი ისე ვცხოვრობთ, თითქოს არც იყოს. ის ჩვენ გვერდითაა, მისით ვსუნთქავთ, მისით ვმოქმედებთ, მისით ვარსებობთ და მაინც არაფერს ვუწევთ ანგარიშს, საკუთარ თავს მივაწერთ სიცოცხლეს, ძალას, გონებას, ნიჭს, წარმატებას; არ ვფიქრობთ მასზე, ვინც არის წყარო ყოველივე ამისა, რადგან ბრმები ვართ მას-

ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი 2013 წლის 1 თებერვლიდან აცხადებს კონკურსს „ნახატები გიბლიურ თემებზე"

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 6-დან 18 წლამდე ასაკის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი სკოლის მოსწავლეებს.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა 2013 წლის 1 აპრილამდე უნდა წარმოადგინონ განაცხადი და სამი თავისუფალ თემაზე შესრულებული ნახატი.

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 13:00 იდან - 18:00 საათამდე.

მისამართი: წმინდა ელიას მთა, სამების საპატრიარქო ტაძარი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომერზე:

557 129 929 — თინათინ ჯაფარიძე.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

6 თებერვალს, 18:00 საათზე, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში (ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი) გაიმართება ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ანთოლოგიის „ტომი I" - წარდგინება.

საღამოს დაესწრებიან მწერლები და საზოგადო მოღვაწეები.

ღონისძიება საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით გაიმართება.

დაჯილდოება

3 თებერვალს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქოს ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა:

დეკანოზი აბიბოს გუბაევი — მიტრით,

დეკანოზი ლუკიანე ხურცია — გამშვენებული ჯვრით.

შეცდომების გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გაიპარა უნებლიე შეცდომა: გვ.10 ხელდასხმის ქრონიკაში უნდა ეწეროს ათანასე ხარებაშვილის ნაცვლად უნდა ეწეროს ათანასე ხაბეიშვილი.

გილოცავთ, მამაო!

გვსურს ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაული და დაბადებიდან 35 წლის იუბილე მივულოცოთ ჩვენს მოძღვარს, დეკანოზ აკაკი ჟვანიას, რომელიც ერთ ათეულ წელზე მეტია თავმდაბლობით, სიყვარულითა და მორჩილებით ემსახურება უფალს *ღვთისმშობლის შობის, მთავარანგელოზთა* და *წმინდა გიორგის* სახელობის ტაძრებში.

მამა აკაკი მუხლჩაუხრელად ილვწის და შრომობს დედაეკლესიისა და თითოეული ჩვენგანისთვის, დიდი ილიას სიტყვებით გვასწავლის: „ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისთვის ღონე-ღონეს გადავაბათ, მხარი-მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვიმოციქულოდ და ყოველ კეთილ საქმეს იოლად აღვასრულებთო".

გილოცავთ, მამაო! ღვთის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ, ჯანმრთელობა და სიხარული, მრავალჟამიერ! უფლის სიყვარულია თქვენზე, რომ ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულზე დაიბადეთ. ღვთის წყალობითა და უფლის ნებით თქვენი დაბადების დღე ემთხვევა ჩვენი უწმინდესი პატრიარქის აღსაყდრების სადღესასწაულო თარიღს — 35-ე წლისთავს, თქვენ ხომ მისი სიყვარულით, ორივე შვილს მისი ორივე სახელი დაარქვით, მრავალი წელი მხნედ და ძლიერად გელოცოთ ერთად.

მადლობა უფალს და მადლობა მამა აკაკის ყველაფრისათვის.

ამინ!

სამტრედია, სოფელ ჭაგნის „ღვთისმშობლის შობის" სახელობის ტაძრის მრევლი

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ თბილისის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მღვდელმსახურს, დეკანოზ ზაზა თევზაძეს გარდაეცვალა მამა — პოლიექტორი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული პოლიექტორის სული.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" თანამშრომელ ნინო ხოფერიას გარდაეცვალა დედა — ვალენტინა ვანიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ვალენტინას სული.

რომელიც ისტორიულად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დედაეკლესია იყო, ამიტომაც გამორჩეულია ჩვენი თქვენდამი დამოკიდებულება.

აღვავლენთ ლოცვებს უფლისადმი, რათა ღმერთმა წმინდა პეტრეს და პავლეს მეოხებით გარდამოავლინოს თქვენ ზედა მადლი სულისა წმინდისა, განმაძლიერებელი სულისა და ხორცისა და მოგანიჭოთ ღვთივსათნო მრავალჟამიერი სიცოცხლე. დაე, თქვენი ღირსეული მსახურებით ანტიოქიის წმინდა ეკლესია კიდევ უფრო აყვავდეს და გაძლიერდეს სადიდებელად ღვთისა და განსამტკიცებლად მართლმადიდებელი სარწმუნოებისა.

იმედი გვაქვს, რომ ურთიერთობა ჩვენს ეკლესიებს შორის თქვენი პირველიერარქობის პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდება, რასაც საქართველოს ეკლესია მიესალმება.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ანტიოქიის ეკლესიის მღვდელმთავრებს, სამღვდელო და სამონაზვნო დასს და სამწყსოს ამ დღეს და სიყვარულით გლოცავთ და გეამბორებით.

ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით,

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II

ქრონიკა ინფორმაცია

ხელდასხმა

3 თებერვალს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის **ბერ-დიაკონ მირიანს (შენგელია).**

მღვდელ-მონაზონი მირიანი მცხეთაში, ანტიოქიის წმინდა სტეფანე პირველდიაკონის სახელობის დედათა მონასტრის მწირველ მოძღვრად დაინიშნა.

***

8 თებერვალს გარდაბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა **გიორგი ხანთაძე.**

დიაკონი გიორგი თბილისში, სამტრედიის ქუჩაზე მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში (დიდუბე) იმსახურებს.

***

12 თებერვალს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის **დიაკონ ნიკოლოზ სხულუხიას.**

მღვდელი ნიკოლოზი ვაკეში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის (მე-9 საავადმყოფო) მღვდელმსახურად დაინიშნა.

დაჯილდოება

10 თებერვალს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დაჯილდოვა შემდეგი სასულიერო პირები:

იღუმენი გრიგოლ ხიზანიშვილი — არქიმანდრიტის წოდებით;

მღვდელი მამუკა თავხელიძე — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

გულითადად ვულოცავთ სასულიერო პირებს დაჯილოდებას და ვუსურვებთ ღვთივსათნო მსახურებას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკეთილდღეოდ.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი 2013 წლის 1 თებერვლიდან აცხადებს კონკურსს

„ნახატები ბიბლიურ თემებზე"

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ, 6-ი დან 18 წლამდე ასაკის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი სკოლის მოსწავლეებს.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა 2013 წლის 1 აპრილამდე, უნდა წარმოადგინონ განაცხადი და სამი თავისუფალ თემაზე შესრულებული ნახატი.

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 13:00-იდან - 18:00 საათამდე.

მისამართი: წმინდა ელიას მთა, სამების საპატ-

თქვენ ქართველი ხალხის სულიერი ლიდერი ხართ. მნიშვნელოვანია, რომ შიდა დაპირისპირებები დიალოგის გზით მოგვარდეს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ პოლიტიკურ პარტიებს ამისკენ მოუწოდებთ. აღფრთოვანებული ვართ იმ წარმატებებით, რასაც ქართველი ხალხი ამ გარდამავალ პერიოდში აღწევს".

ჰელენ კლარკმა ასევე უამბო პატრიარქს, რომ წინა დღით იგი კახეთის რეგიონში იმყოფებოდა და გამოთქვა აზრი, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი პოტენციალი არსებობს და იმედია, პოლიტიკოსები ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე გადაიტანენ ყურადღებას, როგორიც სოფლის მეურნეობაა.

შეხვედრის მეორე ნაწილი დახურულ კარს მიღმა გაიმართა. შეხვედრის შემდეგ ჰელენ კლარკმა სვეტიცხოველი მოილოცა.

მოამზადა ეკატერინე ბახუტაშვილმა

დაჯილდოება

17 თებერვალს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქოს ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა შემდეგი სასულიერო პირები:

დეკანოზი იოსებ შალამბერიძე — მეორე ჯვრით;

დეკანოზი კახაბერ ასათიანი — მიტრით.

გულითადად ვულოცავთ სასულიერო პირებს დაჯილდოებას და ვუსურვებთ ღვთივსათნო მსახურებას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკეთილდღეოდ.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი 2013 წლის 1 თებერვლიდან აცხადებს კონკურსს„ნახატები ბიბლიურ თემებზე"

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ, 6 დან 18 წლამდე ასაკის, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული, ნებისმიერი სკოლის მოსწავლეებს.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა 2013 წლის 1 აპრილამდე, უნდა წარმოადგინონ განაცხადი და სამი თავისუფალ თემაზე შესრულებული ნახატი.

ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 13:00 დან - 18:00 საათამდე.

მისამართი: წმინდა ელიას მთა, სამების საპატრიარქო ტაძარი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომერზე:

557 129 929 — თინათინ ჯაფარიძე

განცხადება

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური გთავაზობთ ლაბორატორულ და ინსტრუმენტულ გამოკვლევებს შეღავათიან ფასებში. მიმართვის ასაღებად მობრძანდით „ჯვრის მამასთან" არსებულ სამედიცინო სამსახურში.

სტომატოლოგიური კლინიკა „დენტივერ +" საპატრიარქოს შეღავათიან ფასებში მოემსახურება

22 იანვარს თბილისის სტომატოლოგიურმა კლინიკა „დენტივერ +-მა" საქართველოს საპატრიარქოსთან ხელშეკრულება გააფორმა, რომლის საფუძველზე იგი ვალდებულებას იღებს, რომ შეღავათიან ფასებში მოემსახურება იმ პირებს, ვისაც ექნება სპეციალური მიმართვა საპატრიარქოდან.

„დენტივერ +-ის" შენობა აკურთხა საპატრიარქოს სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, არქიმანდრიტმა ადამმა (ახალაძე).

კლინიკა, რომელსიც მოგემსახურებათ კვალიფიციური და გამოცდილი ექიმები, აღჭურვილია:

— უახლესი ტექნოლოგიებით,

— ახალი თაობის მრავალპროფილიანი ლაზერული აპარატით — "Doctor SMILE";

— ერთჯერადი მოხმარების ინსტრუმენტებითა და დამხმარე მასალით;

— არაერთჯერადი მოხმარების ინსტრუმენტებზე და სტომატოლოგიურ მასალაზე კეთდება სრული სტერილიზაცია.

კლინიკა გთავაზობთ სრულ მომსახურეობას (თერაპია, ქირურგია, ბავშვთა სტომატოლოგია, ორთოპედია და იმპლანტაცია) 10-30%-იანი ფასდაკლებით.

„დენტივერ +-სს" გააჩნია თავისი ლაბორატორია, სადაც ტექნიკურად სრულდება ყველა საჭირო სამუშაო.

კლინიკა მუშაობს ყოველდღე, კვირის გარდა, 10.00-19.00 სთ.

მისამართი: სიმონ ჩიქოვანის ქ. #38 (ყოფილი ხილიანის ქუჩა)

ტელეფონი: 2 33 20 24 (სასურველია, მობრძანდეთ წინასწარი ჩაწერით).

კალზე, მაღლა — ღმერთი და ჰორიზონტალზე, გასნვრივ — ადამიანი, რწმენა და სიყვარული ღმერთისა და სიყვარული ადამიანებისა. აი, ეს უნდა გახსოვდეთ მუდამ.

ჩემი მთავარი სურვილი და ოცნება სტუდენტობიდან და უფრო ადრეც, სკოლის ასაკიდან, იყო ის, რომ მუდამ მესიამოვნებინა მშობლებისთვის, მათთვის რამე სასიხარულო გამეკეთებინა და მშობლები მუდამ მლოცავდნენ.

ერთხელ მამაჩემს ვკითხე: „ლოცულობ ჩემთვის?" მან გაიკვირვა: „ამას როგორ მეკითხები, სხვას რომ ერთხელ ვიხსენიებ, შენ ათჯერ გახსენებ ღვთის წინაშე ლოცვაში!"

უნდა ვიცოდეთ, რომ ღმერთი ხედავს ჩვენს გულს, ჩვენ კი ვხედავთ ერთმანეთის სახეს; ჩვენ ვხედავთ გარეგნულს, ღმერთი კი ხედავს გულის ყოველ მოძრაობას. „გული წმინდაი დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა!" **ადამიანს გული უნდა ჰქონდეს სუფთა და ღმერთი სუფთა გულში მუდამ იქნება!**

დღეს თქვენ ისეთი სიტყვები თქვით, რომ მე გამახსენდა ჩემი ბავშვობა, ჩემი სტუდენტობის წლები და ცრემლი ვერ შევიკავე...

ჩემი წინაპარი დიდი ადამიანი იყო — შიოლა ღუდუშაური. შიოლას დედას მეფიანთ ქალს უწოდებდნენ. იგი სამეფო გვარიდან იყო, ბაგრატიონების შთამომავალი გახლდათ. **ალბათ, ღვთის წინაშე ჩემი დიდი წინაპრების ლოცვით ვარ ის, რაც ვარ.**

ერთი ის ვიცი, რომ ცოდვილი ვარ, მაგრამ ღვთისა ვარ! როგორც ფსალმუნშია ნათქვამი: „შენი ვარ, უფალო, მაცხოვნე მე!" ჩვენც ასევე უნდა შევღაღადოთ უფალს: შენი ვარ! ცოდვილი ვარ თუ რაც ვარ, — შენი ვარ, მაცხოვნე მე!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

არაერთხელ მითქვამს და თქვენთანაც კიდევ ერთხელ გავიმეორებ — ყოველდღე მიდით მშობლებთან და უთხარით: „დედა, მამა, დამლოცეთ!" და ხელზე აკოცეთ. იცოდეთ, რომ **მშობლების დალოცვით ღვთის კურთხევა გადმოვა თქვენზე!**

ჩვენთან არს ღმერთი!

გაიხარეთ! ძალიან გამახარეთ!

ქრონიკა ინფორმაცია

ხელდასხმა

3 მარტს ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **გურამ ჟუჟიაშვილი** და სახელად **ანდრია** უწოდა.

დიაკონი ანდრია სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

***

3 მარტს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის მთავარეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის V კურსის სტუდენტი **გიორგი ტულუში**.

დიაკონი გიორგი დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

***

7 მარტს ცხრა ყრმა კოლაელთა სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი წეროვნის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკონ სერაფიმეს (წულაია).**

მღვდელ-მონაზონი სერაფიმე წეროვნის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

დაჯილდოება

10 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-

პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

მეორე გამშვენებული ჯვრით — ფოთის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი თეიმურაზ გოგიაშვილი;**

მიტრით — ქუთაისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურნი: **დეკანოზი გიორგი შალამბერიძე** და **დეკანოზი ბესარიონ ხვისტანი;**

ფოთის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **დეკანოზი თეოდორე ბასილაია.**

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 14 თებერვალს გარდაიცვალა ბედიანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტრის მწირველი **ილუმენი ზაბულონი (კვირკველია).**

მკითხველებს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებულ **ილუმენ ზაბულონის** სული.

***

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 23 თებერვალს გარდაიცვალა ქანდის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის მღვდელმსახური, **მღვდელი ანდრია გელაშვილი.**

მკითხველებს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული **მღვდელ ანდრიას** სული.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საპატრიარქოს ბიბლიოთეკა მოინახულა

12 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ახალი შენობა მოინახულა და თანამშრომლებს გაესაუბრა.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

1 მარტიდან საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში განახლდა შემეცნებითი საუბრები, რომლებიც გაიმართება ყოველდღე 15:00 სთ-ზე, ახალგაზრდული ცენტრის საკონფერენციო დარბაზში. დასწრება თავისუფალია.

ხუთშაბათი - 14.03.13. - ღვთისმეტყველება და ფილოსოფია.

თემა: „ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობა განათლების საკითხებთან დაკავშირებით".

საუბარს წარმართავს რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი) (15:00სთ).

პარასკევი - 15.03.13. -ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა.

თემა: „როგორ დავეხმაროთ ბავშვებს პროფესიის არჩევაში".

საუბარს წარმართავს წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის ხელმძღვანელი ნინო კანდელაკი (15:00სთ).

კვირა - 17.03.13 - ფილმის ჩვენება.

თამარ თაგვაძის ფილმი: „გრიგოლ ლორთქიფანიძე" (15:00სთ.).

* * *

დიდმარხვის პირველ კვირას შემეცნებითი საუბრები არ გაიმართება. საუბრები გაგრძელდება 25 მარტიდან.

ახალი გამოცემა

გამოიცა ქართულად ნათარგმნი წმინდა დიმიტრი როსტოველის „წმინდანთა ცხოვრება" - სექტემბერი, ტომი I. წიგნი იყიდება სამების საპატრიარქო ლავრაში; საპატრიარქოს საეკლესიო მაღაზიაში და მაღაზია „ჩირაღდანში", - ანტონ კათალიკოსის №28 (ლესელიძეზე მდებარე მაღაზია „ალილოს" პირდაპირ, პროკრედიტ ბანკის ჩასახვევთან).

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ტრავმატოლოგ-ორთოპედი — 16 მარტს, 12.00-13.00 სთ.;

ანგიოლოგი — 16 მარტს, 13.00-14.00 სთ.;

დერმატოლოგი — 17 მარტს, 12.00-14.00 სთ.;

ოტორინოლარინგოლოგი — 20 მარტს, 16.00-17.00 სთ.;

კარდიოლოგი — ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) — 13.00-15.00 სთ.

სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.

ჩემთან მთავრობის წარმომადგენლებიც მოსულან და გამომშვიდობებისას უთქვამთ: „გულში მორწმუნე ვარ, გულით მწამს“.

რატომ არ აირჩიეს მიტროპოლიტი ილია პატრიარქად?

ჩემი პატრიარქად არჩევა ჯერ კიდევ დავითამდე, ეფრემ II-ის შემდეგ უნდოდათ.

ერთხელ ასეთი შემთხვევა იყო: ერთი პარტიული ფუნქციონერი ჩამოვიდა ჩვენთან, სოფელ სნოში. მიმდინარეობდა სხდომა სოფლის მეურნეობის საკითხებზე. ერთი კაცი წამოდგა და თქვა: „ჩემი შეკითხვაა: რატომ არ აირჩიეს პატრიარქად მიტროპოლიტი ილია?“ ფუნქციონერმა მიუგო: „ეს ჩვენი სხდომის საგანი არ არის.“ მეორე და მესამე კაცმაც იგივე კითხვა რომ დასვა, მას შეეშინდა, ახლა ყველა წამოდგებაო და სწრაფად მოჭრა: „იმიტომაც არ ავირჩიეთ, რომ მას ახალგაზრდობა გაყვება და ეს ჩვენ არ გვჭირდება!“

5 წლის შემდეგ კვლავ შედგა პატრიარქის არჩევნები. ჩემ წინააღმდეგ წერილებს წერდნენ: მიტროპოლიტი ილია ანტისაბჭოურია, და ა. შ. მაგრამ რაც იყო ნება ღვთისა, ის განცხადდა.

რით დაიწყო ეკლესიის აღდგენა

დაიწყეს ფიქრი ინტრონიზაციის პროცესის ორგანიზებაზე, თუ რამდენი ადამიანი უნდა დაეშვათ მცხეთის საპატრიარქო ტაძარში. შევთანხმდით 6 ათასზე. ჩვენ მეტი გვინდოდა, ხელისუფლებას — ნაკლები. და მოვიდა არა 6 ათასი, არამედ 60 ათასი!

ტაძრის ეზო და ქუჩები ხალხს ვერ იტევდა. ყველამ ერთად მიაწვა მილიციის კორდონებს და ისინი იძულებულები გახდნენ, უკან დაეხიათ. აი, ასე და-

იწყო ეკლესიის აღორძინება; პირველივე დღიდან.

ასეთი ხალხმრავლობა ჩვეულებრივი გახდა ჩვენი ეკლესიებისთვის; ჩვენი მრევლის უმრავლესობა ახალგაზრდობაა.

ადგილობრივი ეკლესიების აღმშენებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იცავს იგი მართლმადიდებელი ეკლესიის ფასეულობებს.

უფალმა გვაკურთხოს ჩვენ, ყველანი, რათა ვიყოთ თავდადებული მსახურები ჭეშმარიტებისა და ქრისტეს სიყვარულისა, რათა ვუჩვენოთ ყველას ეკლიანი გზა და მოვიყვანოთ არა ჩვენთან, არამედ უფალ იესო ქრისტესთან!

** — სტროფი თეოდორე ტიუტჩევის ლექსიდან — „ციცერონი“ (მთარგმნელის შენიშვნა)*

*** — ზემო აღნიშნული სტროფის პერიფრაზი*

თარგმნა
მარიამ გაგუამ

ქრონიკა ინფორმაცია

ტაძრის კურთხევა და ხელდასხმა

14 მარტს გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა დიდი ლილოს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. საღვთო ლიტურგიაზე ეპისკოპოსმა იაკობმა მღვდლად დაასხა ხელი ძალაანთხევის წმინდა ბასილი დიდის სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკონ საბას (ტრამაკიძე).**

მღვდელ-მონაზონი საბა ძალაანთხევის მამათა მონასტერში იმსახურებს.

***

10 მარტს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის მთავარეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკონ მიქაელ ალანიას,** ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის II კურსის სტუდენტი **ირაკლი კენკებაშვილი.**

მღვდელი მიქაელი თბილისის წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

დიაკონი ირაკლი ნაძალადევის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

დაჯილდოება

17 მარტს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

მიტრით — ქუთაისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელ-

მსახურნი: **დეკანოზი ექვთიმე წულუკიძე** და **დეკანოზი პავლე კაკუშაძე;**

მიტრითა და გამშვენებული ჯვრით — ვაზისუბნის ცხრა კოლაელ ყრმათა სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, დეკანოზი გიორგი ტაბალუა;

გამშვენებული ჯვრით — სართიჭალის წმინდა ლაზარესა და მთავარანგელოზთა ეკლესიების წინამძღვარი, **დეკანოზი გიორგი კეჟერაშვილი.**

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება რომ ამა წლის 17 მარტს გარდაიცვალა რუის-ურბნისის ეპარქიის, მუხილეთის წმინდა ზენონ იყალთოელის სახელობის მამათა მონასტრის საძმოს წევრი, **ბერ-დიაკონი ექვთიმე (ფიფია)** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული **ბერ-დიაკონის ექვთიმეს** სული.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება რომ საპატრიარქოსთან არსებული სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრის თავმჯდომარეს, ბაკურ გულუას გარდაეცვალა დისშვილი, ბაადურ ბასარია და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული **ბაადურის** სული.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება რომ სიონის საპატრიარქო ტაძრის სტიქაროსანს, ლევან ტიელიძეს, გარდაეცვალა მამა — გენადი (გენო) ტიელიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული **გენადის** სული.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში ყოველდღე იმართება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.

ორშაბათი - 25.03.13.- ისტორია.

თემა: „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა".

საუბარს წარმართავს მანგლისისა და ნალკის მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) (15:00 სთ).

სამშაბათი - 26.03.13.

თემა: „კომპიუტერული თამაშების მავნე ზეგავლენა მოზარდებში".

საუბარს წარმართავს დოქტორანტი ნინო აბაიშვილი (15:00 სთ).

ოთხშაბათი - 27.03.13. –ახალგაზრდა პოეტის თორნიკე გოგნიაშვილის შემოქმედებითი საღამო (18:00სთ).

ხუთშაბათი - 28.03.13. —ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა.

თემა: „მეგობრობა".

საუბარს წარმართავს ფსიქოლოგი მარიამ ბურჭულაძე (15:00სთ).

პარასკევი - 29.03.13.

თემა: „მენელსაცხებელე დედები და თანამედროვეობა".

საუბარს წარმართავს წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ბიძინა გუნია (15:00სთ).

კვირა - 31.03.13 - ფილმის ჩვენება.

თამარ თაგვაძის ფილმი: „ვასილ ბარნოვი" (15:00სთ.).

მილოცვა

ყვარლის წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ ბენიამინ ჩიხორლიშვილს ვულოცავთ დაბადების 55 წლისთავს.

მამა ბენიამინი 23 წელია დიდი მორჩილებით, თავმდაბლობითა და სიყვარულით ემსახურება უფალს და მრევლს.

ღმერთო, დალოცე ჩვენი მოძღვარი. მიეცი ძალა და შემწეობა, მშვიდობა და ჯანმრთელობა, რომ დიდხანს იღვაწოს და ილოცოს ჩვენი სულების გადასარჩენად.

უდიდესი მოკრძალებითა და სიყვარულით
წმინდა იოანე ნათლისმცემლის
შობის სახელობის ტაძრის მრევლი

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 22 მარტს, 15.00-16.00 სთ.;

ოფთალმოლოგი — 23 მარტს, 11.00-13.00 სთ.;

ანგიოლოგი — 23 მარტს, 13.00-14.00 სთ.;

ბავშვთა ორთოპედი — 23 მარტს, 14.00-15.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი — 23 მარტს, 15.30-16.30 სთ.;

ნევროპათოლოგი და ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვ.) — 24 მარტს, 12.00-14.00 სთ.,

კარდიოლოგი — ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) — 13.00-15.00 სთ.

სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ:

599 57 65 31.

***

გაცნობებთ, რომ უფასო სამედიცინო კონსულტაციები დროებით შეწყდება 25 მარტიდან 5 აპრილამდე.

ხვალ შესრულდება სამადლობელი პარაკლისი უფლის წინაშე, რომ ღირსი გაგვხადა ავტოკეფალიის აღდგენისა. თქვენ იცით, ავტოკეფალია არის ეკლესიის თავისუფლება, მისი დამოუკიდებლობა. მთელი ქართული კულტურა, ლიტერატურა — დაფუძნებულია ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. წარმოუდგენელია, რანი ვიქნებოდით, ვინ ვიქნებოდით ქრისტიანობისა და ავტოკეფალური ეკლესიის გარეშე! დიდება და მადლობა უფალს!

ხვალინდელ სამადლობელ პარაკლისს დაესწრება ჩვენი მთავრობა და ყველას გიწვევთ ამ დიდ ზეიმზე.

დღეს ვაჯილოდებთ ჩვენს სამღვდელოებას:

იღუმენი ბიძინა (ქობალია) დაჯილდოებულია არქიმანდრიტის წოდებით;

დეკანოზი მიქაელ კირვალიძე — გამშვენებული ჯვრით;

მღვდელი თადეოზ სარალიძე — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

დღევანდელ ზეიმთან დაკავშირებით ახლა შესრულდება დოქსოლოგია — სადიდებელი ღვთისა.

შეგახსენებთ ასევე, რომ დღეს არის ტუბერკულიოზის დაავადებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე. თქვენ იცით, რომ ეს ძალიან მძიმე დაავადებაა და, სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა იგი. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს სენი ამოიძირკვოს საქართველოში; ყოველ შემთხვევაში, ასე გავრცელებული არ იყოს.

წლების წინ მქონდა შეხვედრა ინგლისელ პროფესორებთან. ჩვენ ვისაუბრეთ ამ საკითხზე და მათ მითხრეს, რომ დიდ ბრიტანეთში საერთოდ არ არსებობს ტუბერკულიოზით დაავადების შემთხვევები. დავინტერესდი, თუ რით მიაღწიეს ასეთ შედეგს. მათ მითხრეს, რომ ამ სენის წამალია სისუფთავე, პირადი ჰიგიენა, ხელ-პირის და სხეულის რეგულარული მოვლა. ამიტომ ჩვენც უნდა მივაქციოთ ამას ყურადღება.

ეკლესია, თავის მხრივ, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მხარში ამოუდგეს ექიმებს, ჯანდაცვის სამინისტროს, რათა ერთობლივი ძალებით დავძლიოთ ამ საშინელი დაავადების ასეთი გავრცელება.

დღეს წირვას ესწრებიან ჩვენი ფთიზიატრები, მინდა დავლოცო ისინი. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ და მადლობელნი ვართ თქვენი დიდი შრომისა და თავდადებისთვის.

შეგახსენებთ, რომ ხვალიდან აღდგება პარაკლისები. ერთად ვილოცოთ, ღმერთი გადმოგვხედავს და მოსცემს ერსა ჩვენსა მშვიდობასა და წყალობას!

ჩვენთან არს ღმერთი!

მოამზადა მარიამ გაგუამ

ქრონიკა ინფორმაცია

ხელდასხმა

23 მარტს თელეთის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკონ გიორგი ჩანტლაძეს**, ხოლო დიაკვნად აკურთხა ძალაანთხევის წმინდა ბასილის დიდის სახელობის მამათა მონასტრის **ბერი ისააკი (სიორიძე).**

მღვდელი გიორგი ვაშლიჯვრის ჯვართამაღლების სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

ბერ-დიაკონი ისააკი ძალაანთხევის მამათა მონასტრის ღვთისმსახურად დაინიშნა.

შეცდომების გასწორება

„საპატრიარქოს უწყებანში" გაიპარა უნებური შეცდომები: დეკანოზი გიორგი ბეჟერაშვილის ნაცვლად უნდა ეწეროს დეკანოზი გიორგი კეჟერაშვილი, ასევე გვართა კურთხევისას იკურთხა გოქაძეების გვარი.

აღკვეცა

22 მარტს მუხიანის წმინდა მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა ამავე ტაძრის წინამძღვარი, **არქიმანდრიტი სერაფიმე (კიკონიშვილი)** და სახელად **მიქაელი** უწოდა.

23 მარტს წმინდა ნინოს სახელობის მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში არქიმანდრიტმა ლაზარემ (გაგნიძე) მონაზვნად აღკვეცა ამავე მონასტრის სამონაზვნეები:

მარიამ (ნიაური) — სახელად ეწოდა ანა.

მელანია (ზურაბაშვილი) — ეწოდა ანასტასია.

დაჯილდოება

24 მარტს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკო-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის სამღვდელოება:

არქიმანდრიტის წოდებით — ჯრუჭის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **იღუმენი ბიძინა (ქობალია);**

გამშვენებული ჯვრით — სხვიტორის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი მიქაელ კირვალიძე;**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — მღვიმევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის დედათა მონასტრის მღვდელმსახური, **მღვდელი თადეოზ სარალიძე.**

ქრონიკა ინფორმაცია

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

30 მარტი, 2013 წელი

საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს" სახელით ა.წ. 29 მარტს გავრცელდა მცდარი ინფორმაცია იეღოველთა (რასელისტთა) კონგრესთან რეს-პუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ქ-ნ თინათინ ხიდაშელის კავშირის შესახებ, რაც ჩვენი მოსახლეობის ნაწილმა ეკლესიის განცხადებად აღიქვა.

ამ შეცდომის მიზეზი ისიც არის, რომ საპატრიარქოში მართლაც ფუნქციონირებს იმავე სახელწოდების, ოღონდ საქველმოქმედო დანიშნულების ფონდი „ლაზარე", რომელიც ჩვენს არაერთ მნიშვნელოვან სოციალურ პროექტს ახორციელებს.

საზოგადოებრივ მოძრაობა „ლაზარეს" საქმიანობასთან კი (რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი რეზო ამაშუკელი) საქართველოს საპატრიარქო დაკავშირებული არ არის.

კათოლიკოს-პატრიარქის განცხადება

31 მარტი, 2013 წ.

ბოლო დროს კვლავ განახლდა მსჯელობა რეგიონული და უმცირესობების ენების შესახებ ევროპული ქარტიის თაობაზე, რაც, ჩვენი აზრით, მიუღებელია, რადგან იგი გამოიწვევს სეპარატისტული მოძრაობის გაძლიერებას და ქვეყნისათვის ახალი უმძიმესი პრობლემების შექმნას.

ვიდრე ჩვენთან ეროვნულ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხი არ მოგვარებულა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღმდგარა, პარლამენტის მიერ ამის რატიფიცირება დაუშვებლად მიგვაჩნია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

27 მარტს, საპატრიარქო რეზიდენციაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიიღო თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბატონი აჰმედ დავუთ-ოღლუ.

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა და თურქეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს, მათ შორის — თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლებისთვის იურიდიული სტატუსის განსაზღვრა, ტაო-კლარჯეთსა და ლაზეთში სამონასტრო ცხოვრების აღორძინება და ქართული ეკლესიების რესტავრაციაში იუნესკოს ჩართვა. ამ თემებზე კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა. თურქულმა მხარემ თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა.

ხელდასხმა

24 მარტს ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული **ვლადიმერ ციცვაძე** და სახელად **დავითი** უწოდა.

დიაკონი დავითი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

***

30 მარტს მუხათგვერდის ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი საგურამოს წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის **ბერ-დიაკონ ბასილს (ბუსკივაძე)**, ხოლო დიაკვნად აკურთხა **გიორგი ჯაფარიძე.**

მღვდელ-მონაზონი ბასილი საგურამოს წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

დიაკონი გიორგი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

ბერად აღკვეცა

27 მარტს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში არქიმანდრიტმა ანტონმა (ფურცელაძე) ბერად აღკვეცა ამავე ლავრის მორჩილები: **მამუკა თენოშვილი** — სახელად ეწოდა **მიქაელი** და **არჩილ რუხაძე** — სახელად ეწოდა **დავითი**.

დაჯილდოება

31 მარტს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრითა და მიტრით — ჭყონდიდის ეპარქიის, სოფ. გულეკარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა;**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — **მღვდელი დავით სუთიძე.**

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ მესტიისა და ზემო სვანეთის მთავარეპისკოპოსს ილარიონს (ქიტიაშვილი) გარდაეცვალა დედა — ანა ქიტიაშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ანას სული.

ქრონიკა ინფორმაცია

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ქალბატონ მაია ფანჯიკიძეს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, ბატონ გურამ ოდიშარიას

მოგესალმებით პატივისცემით და გაცნობებთ, რომ ა.წ. 7-8 აპრილს მე, მცირე დელეგაციასთან ერთად, ვიმოგზაურე თურქეთის რესპუბლიკაში, სადაც მოვინახულე ქართული ტაძრები და მონასტრები. სამწუხაროდ, ძალიან მძიმე მდგომარეობაში დაგვხვდა იშხანის მონასტერში, სადაც დაწყებულია ტაძრის გაწმენდითი სამუშაოები, გამოტანილია დიდი რაოდენობით მიწა და ქვები, რომლებიც გარეთ უწესრიგოდ არის მიმოფანტული. სამუშაოებს, სამწუხაროდ, არ ესწრებიან ქართველი არქეოლოგები და ხელოვნებათმცოდნეები, რაც ჩვენი სიტყვიერი შეთანხმებიდან გამომდინარე, სრულიად მიუღებელია. და ასევე გაუგებარია, რამ დააჩქარა სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება საბოლოო შეთანხმების მიღებამდე.

გთხოვთ, სასწრაფოდ მიიღოთ ზომები, რათა დროებით შეჩერდეს სამუშაოები და უზრუნველყოფილ იქნეს ქართველი სპეციალისტების მონაწილეობა შემდგომ საქმიანობაში.

პატივისცემით,

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი,
ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის
მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე)

მის აღმატებულებას, თურქეთის რესპუბლიკის ელჩს საქართველოში, ბატონ ელევენთ მურათ ბურჯანს

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო ელჩო,

მოგესალმებით პატივისცემით და გაცნობებთ, რომ ა.წ. 7-8 აპრილს მე, მცირე დელეგაციასთან ერთად, ვიმოგზაურე თურქეთის რესპუბლიკაში, სადაც მოვინახულე ქართული ტაძრები და მონასტრები. სამწუხაროდ, ძალიან მძიმე მდგომარეობაში დაგვხვდა იშხანის მონასტერი, სადაც დაწყებულია ტაძრის გაწმენდითი სამუშაოები, გამოტანილია დიდი რაოდენობით მიწა და ქვები, რომლებიც გარეთ უწესრიგოდ არის მიმოფანტული. სამუშაოებს, სამწუხაროდ, არ ესწრებიან ქართველი არქეოლოგები და ხელოვნებათმცოდნეები, რაც ჩვენი სიტყვიერი შეთანხმებიდან გამომდინარე, სრულიად მიუღებელია. ასევე გაუგებარია, რამ დააჩქარა სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება საბოლოო შეთანხმების მიღებამდე.

ვიმედოვნებთ, გულისხმიერად მოეკიდებით აღნიშნულს და მიიღებთ ზომებს, რათა დროებით შეჩერდეს სამუშაოები და უზრუნველყოფილ იქნეს ქართველი სპეციალისტების მონაწილეობა შემდგომ საქმიანობაში.

პატივისცემით,

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი,
ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის
მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე)

ხელდასხმა

24 მარტს სარკინეთის წმინდა შიომღვიმელის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ამავე მონასტრის მოწესეს, **ბერ-დიაკონ შიოს (მამისაშვილი).**

მღვდელ-მონაზონი შიო სარკინეთის მონასტერში იმსახურებს.

***

30 მარტს სარკინეთის წმინდა შიომღვიმელის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა ყინწვისის მონასტრის მოწესე, **ბერი ანდრია (გვეხიძე).**

ბერ-დიაკონი ანდრია ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის მონასტერში იმსახურებს.

***

6 აპრილს შავნაბადის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ამავე მონასტრის **ბერ-დიაკონ გრიგოლს (წულაია).**

მღვდელ-მონაზონი გრიგოლი შავნაბადის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

***

7 აპრილს ნიკორწმინდის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში ნიკორწმინდელმა მიტროპოლიტმა ელისემ (ჯოხაძე) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკონ გიორგი კობერიძეს.**

მღვდელი გიორგი ონის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

აღკვეცები

2 აპრილს თრეხვის მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერად აღკვეცა მცირე სქემაში **მორჩილი ირაკლი ოდელაძე** და სახელად **პახუმი** უწოდა.

***

7 აპრილს სარკინეთის წმინდა შიო მღვიმელის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) შეასრულა ბერად აღკვეცის წესი: იმერხევის მამათა მონასტრის მოწესე, **ბერი კონსტანტინე (თორთლაძე)** აღკვეცილ იქნა დიდ სქემაში და სახელად ეწოდა **კირიონი**; სარკინეთის მამათა მონასტრის მოწესე,

ბერი არსენი (ხაჩიძე) აღკვეცილ იქნა დიდ სქემაში და სახელად ეწოდა **ბარსანოფი**; სარკინეთის მონასტრის მოწესე, **მორჩილი გიორგი ძამაშვილი** აღკვეცილ იქნა ბერად მცირე სქემაში და სახელად ეწოდა **ექვთიმე.**

***

9 აპრილს ბერმუხას წმინდა მერკვირის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერად აღკვეცა მცირე სქემაში ამავე მონასტრის მოწესე, **მორჩილი ნიკოლოზ გოჩაშვილი** და სახელად **მერკვირი უწოდა.**

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში ყოველდღე იმართება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.

ხუთშაბათი - 11.04.13. — ღვთისმეტყველება და ფილოსოფია.

თემა: „როგორ ვიზრუნოთ მოყვასის სულზე".

საუბარს წარმართავს ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი) (15:00 სთ).

პარასკევი - 12.04.13. — ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა.

თემა: „ბავშვების აღსარება".

საუბარს წარმართავს წმ. იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე (15:00სთ).

კვირა - 14.04.13 — ფილმის ჩვენება.

თამარ თაგვაძის ფილმი „გრიგოლ ლორთქიფანიძე" (15:00სთ.).

ორშაბათი - 15.04.13.

თემა: „მასმედიის საშუალებები და დანაშაული".

საუბარს წარმართავს დოქტორანტი ნინო აბაიშვილი (15:00 სთ).

სამშაბათი - 16.04.13. — ისტორია.

თემა: „დიმიტრი ყიფიანის ღვაწლი და დამსახურება".

საუბარს წარმართავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ ბახტაძე (15:00 სთ) .

ოთხშაბათი - 17.04.13. — ანსამბლ „ზეგანის" სოლო-კონცერტი (18:00სთ).

ხუთშაბათი - 18.04.13. — ღვთისმეტყველება და ფილოსოფია.

თემა: „ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესახებ".

საუბარს წარმართავს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი იაკობ აბაშიძე (15:00 სთ).

პარასკევი -19.04.13 — ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა.

თემა: „ხასიათის ფორმირების თავისებურებანი".

საუბარს წარმართავს ფსიქოლოგი ლია ზაზაშვილი (15:00სთ).

კვირა - 21.04.13 — ფილმის ჩვენება.

თამარ თაგვაძის ფილმი „გრიგოლ ლორთქიფანიძე" (15:00სთ.).

საქართველოს სახელმწიფო ენისადმი მიძღვნილი ზეიმი საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის ცენტრში

კვირას, 14 აპრილს, 14 საათზე, საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში გაიმართება საქართველოს სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით „სახელმწიფო ენა — ქვეყნის ღირსების საზომი". კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ მეცნიერები საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. მოხსენებები წაიკითხება ქართულ ენის პრობლემატიკასთან დაკავშირებით. კერძოდ აფხაზური ენა, როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა და საქართველოს მოვალეობები; როგორია დღევანდელ საზოგადოებაში ნორმირებული მეტყველება და თანამედროვე მასმედიის ენა; მშობლიური ენის მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების საკითხები; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები — პრობლემები და მათი გადაჭრის გზები; სახელმწიფო ენის დაცვა — ევროპული გამოცდილება; ევროპული ქარტია რეგიონული და უმცირესობის ენის შესახებ და საქართველო. კონფერენციის მიზანია ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის გაძლიერება და მასთან დაკავშირებით დღეს არსებული პრობლემატიკის წარმოჩენა.

მოხსენებებს წაიკითხავენ მეცნიერები: თეიმურაზ გვანცელაძე, ტარიელ ფუტკარაძე, შუქია აფრიდონიძე, მერაბ გვაზავა, ალექსი ჟორდანია, მანანა ტაბიძე, ეკატერინე დადიანი, რევაზ შეროზია, მანანა ტაბიძე, ლია ქაროსანიძე, რუსუდან საღინაძე, მანანა კვასხვაძე, მარიკა ოძელი, ნათელა მაღლაკელიძე, ნანა ლოლაძე.

კონფერენციის მონაწილეები შეიმუშავებენ მიმართვას, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებას გაეგზავნება.

წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის განცხადება

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი — „მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი" აცხადებს მიღებას 2013–2014 სასწავლო წლისათვის საეკლესიო გალო-

აკადემიაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან უმაღლესი საერო სასწავლებლის და სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულები.

მისამართი: ქუთაისი, ვარლამიშვილის 27

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

ტელ: 0(431)248552, მობილური: 599373772

ელ. ფოსტა: gelati.academy@yahoo.com

სწავლა უფასოა

აღკვეცა

2 აპრილს, მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ, წილკნისა და დუშეთის მიტროპოლიტმა ზოსიმემ ფასანაურის წმ. მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ზაქარია ბერად აღკვეცა და სახელად მოსე უწოდა. ღმერთმა გააძლიეროს იღუმენი მოსე.

კურთხევა

14 აპრილს, წილკნისა და დუშეთის მიტროპოლიტმა ზოსიმემ დუშეთის წმ. ნიკოლოზის საკათედრო ტაძარში სტიქაროსან ბაქარ კანიაშვილს დიაკვნად დაასხა ხელი და სახელად ბართლომე უწოდა.

ვულოცავთ!

ფოთის ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურს, დეკანოზ თეიმურაზ გოგიაშვილს ვულოცავთ დაბადებიდან 60 და მოღვაწეობის 35 წლისთავს!

ამ საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით 10 მარტს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მამა თეიმურაზი მეორე გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში ყოველდღე იმართება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.

ხუთშაბათი - 18.04.13. - ღვთისმეტყველება და ფილოსოფია.

თემა: „ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესახებ".

საუბარს წარმართავს წმ. სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი იაკობ აბაშიძე (15:00 სთ) .

პარასკევი -19.04.13 -ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა.

თემა: „ხასიათის ფორმირების თავისებურებანი".

საუბარს წარმართავს ფსიქოლოგი ლია ზაზაშვილი (15:00სთ). - 21.04.13 - ფილმის ჩვენება.

თამარ თაგვაძის ფილმი: „გრიგოლ ლორთქიფანიძე" (15:00სთ.).

ორშაბათი - 22.04.13 - ისტორია.

თემა: „წმ. ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა".

საუბარს წარმართავს სვეტიცხოვლის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი პეტრე კვარაცხელია (15:00 სთ).

სამშაბათი - 23.04.13.

თემა: „ფსიქო-ტერორი სამუშაო ადგილას და სკოლაში".

საუბარს წარმართავს დოქტორანტი ნინო აბაიშვილი (15:00 სთ) .

ოთხშაბათი - 24.04.13. - პოეტ ლიზი ბუდაღაშვილის სადებიუტო წიგნის „ფიქრობანას თამაში"-ს წარდგინება (18:00სთ).

ხუთშაბათი - 25.04.13. - ღვთისმეტყველება და ფილოსოფია.

თემა: „პავლე მოციქული და ერიხ ფრომი სიყვარულზე".

საუბარს წარმართავს წმ. სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი გიორგი წეროძე

(15:00 სთ) .

პარასკევი -26.04.13 -ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა.

თემა: „ძალადობა ოჯახსა და სკოლაში".

საუბარს წარმართავს ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა (15:00სთ).

კვირა - 28.04.13 - ფილმის ჩვენება.

თამარ თაგვაძის ფილმი: „აკაკი შანიძე" (15:00სთ.).

* * *

17 აპრილს, 18:00 სთ-ზე, საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში (წმ. სამების საკათედრო ტაძარი) გაიმართება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, დრამის ფაკულტეტის, ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გუნდის დირიჟორის სპეციალობის სტუდენტების სა-

ლავის გათხრაში დაეხმარა. ასე დაკრძალეს წმინდა მარიამ ეგვიპტელი მამა ზოსიმემ და ლომმა ერთად. აი, რას ნიშნავს მოღვაწეობა, რას ნიშნავს სულიერი ცხოვრება!

ახლა დიდმარხვის ჟამია და ალბათ იგრძენით, როგორი ვერაგია ბოროტი სული და განსაკუთრებით როგორ ებრძვის ადამიანს მარხვაში. მაგრამ ღმერთი გვანიჭებს მადლს და ძალას, რომ ბოროტი დავამარცხოთ.

სიკეთე და ბოროტება ადამიანის მუდმივი თანამგზავრია ამქვეყნად. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ სიკეთე მუდამ ამარცხებს ბოროტებას, კეთილი მუდამ იმარჯვებს, ყოველთვის უფრო ძლიერია! რაც უნდა ძლიერი გეჩვენოს ბოროტება და სუსტად ჩანდეს სიკეთე, გახსოვდეთ, რომ ეს მოჩვენებითია. სიკეთე მაინც ყოველთვის მძლავრობს! და ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ ამ ბრძოლიდან მუდამ გამარჯვებული გამოვდივართ.

შევთხოვ უფალს, რომ ბედნიერი აღდგომა გაგვითენოს; შევთხოვ უფალს, რომ ადამიანებსა და ქვეყანაში არსებული ბოროტება სიკეთით შეიცვალოს, ამინ! და თუ გვექნება რწმენა, სიყვარული, სასოება და თავმდაბლობა, ღმერთი აუცილებლად მოგვცემს ძალას, რომ სიკეთემ სძლიოს ბოროტს!

ღმერთმა დაგლოცოთ!

დღეს ჩვენ ვაჯილოდებთ ორ სასულიერო პირს:

დეკანოზი ლაზარე დულუზაური დაჯილდოებულია გამშვენებული ჯვრით;

მონაზონი პარასკევა (ფაჩუაშვილი), რომელიც არის და მეუფე ნიკოლოზისა და წინამძღვარი მღვიმევის მონასტრისა, დღეს ჯილდოვდება ილუმენიას წოდებით. იმედი მაქვს, რომ იგი იქნება მაგალითი თავმდაბლობისა და მორჩილებისა.

დღეს ილოცება აქ წარმოდგენილი კადეტთა სამხედრო ლიცეუმი. ღმერთმა დაგლოცოთ: სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა, ამინ!

კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ დღევანდელ დღეს!

სულ მალე ვიზეიმებთ მომავალ დღესასწაულებს — ლაზარეს შაბათს, ბზობას და ბრწყინვალე აღდგომას!

შეგახსენებთ, რომ ლაზარეს შაბათი და ბზობა ხსნილია თევზით.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ! ღმერთმა დალოცოს, გააძლიეროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო, ამინ!

ჩვენთან არს ღმერთი!

მოამზადა
მარიამ გაგუამ

ქრონიკა ინფორმაცია

წმინდა სინოდის სხდომის ოქმი

ა.წ. 23 აპრილს შედგა წმიდა სინოდის მორიგი სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

სხდომის მდივანი: ფოთის და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი.

არ ესწრებოდნენ: წილკანის და დუშეთის მიტროპოლიტი ზოსიმე, ბოდბელი მთავარეპისკოპოსი დავითი, დმანისის მთავარეპისკოპოსი ზენონი

განხილულ იქნა ორი საკითხი: მღვდელმთავართა მოხსენებები ეპარქიებში არსებულ მდგომარეობებზე და ბოდბელი მთავარეპისკოპოსის, მაღალყოვლადუსამღვდელოესი დავითის (ტიკარაძე) თხოვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით. წმ. სინოდმა დააკმაყოფილა მეუფე დავითის სურვილი მის ნაცვლად ბოდბის ეპარქიის მმართველად დაინიშნა ეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი). მარტყოფისა და გარდაბნის ეპარქია კი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, კვლავაც კათოლიკოს-პატრიარქს დაექვემდებარა.

23 აპრილი 2013 წ.

საპატრიარქოს განცხადება

საინფორმაციო საშუალებებიდან გახდა ცნობილი, რომ დღეს, 21 აპრილს, იუსტიციის სამინისტროსთან მოეწყო საპროტესტო აქცია ახალი ID ბარათების შემოღებასთან დაკავშირებით და აქციის ხელმძღვანელები საპატრიარქოს სახელითაც მოქმედებდნენ.

განვმარტავთ, რომ საქართველოს საპატრიარქოს აღნიშნულ ღონისძიებასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

21.04.2013

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში შემეცნებითი საუბრები ენებისა და ბრწყინვალე შვიდეულებსი არ შედგება.

დაჯილდოება

21 აპრილს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დაა-

ჯილდოვა შემდეგი სასულიერო პირნი:

დეკანოზი ლაზარე დულუზაური — გამშვენებული ჯვრით;

მღვიმევის მონასტრის წინამძღვარი, მონაზონი პარასკევა (ფაჩუაშვილი) — ილუმენიას წოდებით.

აღკვეცა

6 აპრილს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ ყულიშკარის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში დიაკვნად აკურთხა სქურის ფერისცვალების მამათა მონასტრის ბერი ლაზარე (ფაჟავა).

* * *

13 აპრილს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ მონაზვნად აღკვეცა კორცხელის ივერიის ღვთისმშობლის დედათა მონასტრის მორჩილი ლუდმილა (ძაპტაშვილი) და სახელად ათანასია უწოდა.

* * *

13 აპრილს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების საკათედრო ტაძარში მღვდლად აკურთხა დიაკონი სერაფიმე ზარქუა.

* * *

14 აპრილს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ მონაზვნად აღკვეცა კორცხელის ივერიის ღვთისმშობლის დედათა მონასტრის მორჩილი ზოია (ჯიქია) და სახელად ზოილე უწოდა.

* * *

21 აპრილს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ ჯვარის (ოჭანე) წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის მორჩილი ასმათი (არნანია) აღკვეცა მონაზვნად და სახელად მარიამი უწოდა. მორჩილებად აკურთხეს ნონა (ჭკადუა), ნინო (აკობია) და ნათია (მიქავა).

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 26 აპრილი, 15.00-16.00 სთ.;

ოფთალმოლოგი — 27 აპრილს, 11.00-13.00 სთ.;

ანგიოლოგი — 27 აპრილს, 13.00-14.00 სთ.;

კარდიოლოგი — ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) — 13.00-15.00 სთ.

სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.

* * *

ვნების შვიდეულში სამედიცინო კონსულტაციები არ შედგება.

სიახლე აბიტურიენტებისთვის

აკრედიტებული მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარია

ა ც ხ ა დ ე ბ ს

აბიტურიენტთა მიღებას 2013 -2014 სასწავლო წლისათვის თეოლოგიის და ქრისტიანული ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე. კვალიფიკაცია - თეოლოგიის ბაკალავრი და ქრისტიანული ფსიქოლოგიის ბაკალავრი.

რეგისტრაციის დროს აბიტურიენტი ჩასაბარებელ საგნებში ირჩევს მხოლოდ ქართულ ენასა და ლიტერატურას.

აბიტურიენტმა მისაღები გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში უნდა ჩააბაროს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული პროგრამითა და წესით და გადალახოს მინიმალური ზღვარი.

გამოცდა ისტორიასა და კატეხიზმოში ჩატარდება შიდა წესით. ეროვნული გამოცდების 2013 წლის ცნობარში წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარია 176 - ე ადგილზეა.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ მისამართზე: ცაგერი, რუსთაველის 65.
ტელ: 599 777 455; 599 630 482

მდგომარეობა იშხანში

17-18 აპრილს იშხნის სამონასტრო კომპლექსში პირველად ისტორიაში შედგა ქართველ და თურქ სპეციალისტთა ერთობლივი შეხვედრა, რომელიც 12 აპრილს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის მარინე მიზანდარისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მერაბ ბოჭოიძის ანკარაში საგანგებო ვიზიტის შედეგად გადაწყდა. თურქეთის მხარე მზად არის ქართველი სპეციალისტების მიერ დამუშავებული შენიშვნები და რეკომენდაციიები მიიღოს და გაითვალისწინოს.

17-18 აპრილს, იშხნის და ოშკის სამონასტრო კომპლექსების მონიტორინგისა და საველე პირობში გამართული შეხვედრების შემდეგ, ქართველი სპეციალისტები შეიმუშავებენ ძეგლთა დაცვისთვის აუცილებელ რეკომენდაციებს. ქართველი და თურ-

ჩვენი ერი, ჩვენი სამშობლოა. მე მიმაჩნია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ბრძენია და უფრო ღრმად შეხედავს ამ პრობლემას, რომლის წინაშეც ვდგავართ. ხშირი შემთხვევაა, რომ ადამიანი, სახელმწიფო ხშირად გადადგამს უკან ნაბიჯს, მაგრამ სულ უკან სვლა დაუშვებელია, ჩვენ უნდა ვიაროთ წინ, ეს არის ღვთის ნება. მაცხოვარი ჩვენი ამბობს: „იყავით სრულყოფილი, ვითარცა მამა თქვენი სრულყოფილ არს", ეს არის მითითება იმაზე, რომ სრულყოფა დაუსრულებელია, ადამიანი ვერასდროს ვერ გახდება ისეთი, როგორც მამაზეციერია, მაგრამ სრულყოფა დაუსრულებელია ორთავ სოფელსა შინა. მე გისურვებთ, რომ გქონდეთ თქვენ მტკიცე სარწმუნოება, მართლმადიდებელი", - ბრძანა უწმინდესმა ახალგაზრდა პარლამენტარებთან შეხვედრაზე.

უწმინდესმა უსურვა ახალგაზრდებს მშვიდობა, სიყვარული, სიხარული და თავმდაბლობა, რადგანაც, პატრიარქის თქმით, უფალი თავმდაბალთ მიანიჭებს მადლს.

პატრიარქმა ახალგაზრდა პარლამენტარებს საჩუქრად მაცხოვრის ხატი და ღვთისმშობლის გამოსახულებიანი მედალიონები გადასცა.

კათოლიკოს-პატრიარქმა აბიტურიენტები დალოცა

21 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ XII კლასელები და აბიტურიენტები დალოცა. მოსწავლეები საზეიმო მსვლელობით მივიდნენ სამების საკათედრო ტაძარში, სადაც ღვთის სამადლობელი პარაკლისიც აღესრულა. ლოცვა თავად უწმინდესმა ჩაატარა. ქადაგებისას პატრიარქმა მათ უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარება და განათლების მიღება უსურვა. მან მოსწავლეებთან ერთად ილოცა და იგალობა.

საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში, ვნების კვირას და აღდგომის ბრწყინვალე შვიდეულში შემეცნებითი საუბრები არ გაიმართება. საუბრები განახლდება 13 მაისიდან.

დასწრება თავისუფალია.

ორშაბათი - 13.05.13. - წმ. მეფე თამარის ხსენების დღესთან დაკავშირებული ლოცვის გამო შემეცნებითი საუბარი არ გაიმართება.

სამშაბათი - 14.05.13.- ისტორია.

თემა: „წმ. მეფე თამარის ცხოვრება და მოღვაწეობა".

საუბარს წარმართავს სვეტიცხოველის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი პეტრე კვარაცხელია (15:00 სთ).

ოთხშაბათი - 15.05.13. - ლიტერატურული საღამო (18:00სთ).

ხუთშაბათი - 16.05.13. თემა: „მართლმადიდებლური სიწმინდეები ევროპაში". საუბარს წარმართავს წმ. სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი მამუკა თავხელიძე (15:00 სთ).

პარასკევი -17.05.13 -ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა.

თემა: „ქრისტიანული სიყვარული".

საუბარს წარმართავს წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის ხელმძღვანელი ნინო კანდელაკი (15:00სთ).

კვირა - 19.05.13. - ფილმის ჩვენება.

თამარ თაგვაძის ფილმი: „ნიკო ნიკოლაძე" (15:00სთ.).

საჩუქარი პატრიარქს

27 აპრილს წმინდა ლაზარეს აღდგინების დღეს ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ, ილია II-ს მიართვეს სამეცნიერო კრებული „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი", პროექტის ავტორი და ხელმძღვანელია პროფესორი რევაზ სირაძე.

აღსანიშნავია, რომ 1986 წლის 26 აპრილს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ წმინდა ლაზარეს აღდგინების შაბათი ძეგლის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაისა" და საერთოდ ქართული ენის დღედ გამოაცხადა. წიგნის კომპიუტერული ვერსიის ერთადერთი ანაბეჭდით მეცნიერთა ჯგუფმა (გრივერ ფარულავა, ავთანდილ არაბული, მანანა ტუსკია) საიბილეო თარიღები მიულოცა ძვირფას პატრიარქს.

ხელდასხმა

27 აპრილს შავნაბადის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ამავე მონასტრის **ბერ-დიაკონ გიორგის (ვარდანაშვილი),** ხოლო დიაკვნად აკურთხა **დავით შალუტაშვილი.**

მღვდელ-მონაზონი გიორგი შავნაბადის მონასტერში იმსახურებს.

დიაკონი დავითი ანჩისხატის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში დაინიშნა.

28 აპრილს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა **ზოსიმე ნაფეტვარიძე.**

დიაკონი ზოსიმე ხირსის წმინდა სტეფანეს სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

28 აპრილს, სრულიად საქართველოს კათოლი-

კოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში, რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის II კურსის სტუდენტი, თორნიკე შიობრიშვილი.

დიაკონი თორნიკე ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

აღკვეცა

11 აპრილს აბასთუმნის წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის დედათა მონასტერში ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) მონაზვნად აღკვეცა ამავე მონასტრის **მორჩილი ეკა ბეგალიშვილი** და სახელად **ტაისია** უწოდა.

26 აპრილს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) მონოზვნად აღკვეცა ჯვარის (ოჩანე) წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის მორჩილი ნინო (კალანდია) და სახელად სიდონია უწოდა.

29 აპრილს მარტყოფის ღვთაების სახელობის მამათა მონასტერში არქიმანდრიტმა ბენიამენმა (ბელქანია) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები: **კახაბერ გვენცაძე** — სახელად ეწოდა **გიორგი**, **მალხაზ ლაზარია** — სახელად ეწოდა **სპირიდონი**, **მალხაზ ჭკუასელი** — სახელად ეწოდა **შიო**, **პავლე ბასილაია** — სახელად ეწოდა **ნაზარი**, **გიორგი სულაძე** — სახელად ეწოდა **მაკარი**, **ირაკლი სიჭინავა** — სახელად ნეოდა **ილარიონი**, **ბესარიონ ხაჩიაშვილი** — სახელად ეწოდა **გერმანე**, **იოსებ შონია** — სახელად ეწოდა **ალექსი**, **ვლადიმერ ქუთელია** — სახელად ეწოდა **ამბროსი** და **ვიტალი ბოლოთაევი** — სახელად ეწოდა **იოანე**.

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 23 აპრილს გარდაიცვალა ქუთაის-გაენათის ეპარქიის უხუცესი მღვდელმსახური, მოწამეთას წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის მამათა მონასტრის **მღვდელი გიორგი ბასილაძე**.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული **მღვდელი გიორგის** სული.

† დეკანოზი ბიძინა გუნია

საღმრთო ლიტურგია
(ბრწყინვალე შვიდეულში)

შემთხვევის ლოცვები (სამაგიდო...1983: 576)

ასამაღ.: *„კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი...“*

აღდგომის ტროპარი: *„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით...“ 3-გზის.*

იპპაკ: *„ცისკარსა მსთვად მოვიდა...“* (ჟამნი 1899: 540).

კონდაკი: *„დაღაცათუ ნებსით თვისით...“* (ჟამნი 1899: 540).

ტროპარი: *„საფლავად ხორცითა შთახედ...“* (ჟამნი 1899: 541).

დიდება — *„ვითარცა ნათლით შემოსილსა...“* (ჟამნი 1899: 541).

აწდა — *„ზეგარდამო განნმენდილ იქმენ...“* (ჟამნი 1899: 541).

(მაცხოვრის ხატთან) *„უხრწნელსა ხატსა შენსა...“* (კონდაკი 1899: 89).

(ღვთისმშობლის ხატთან) *„სახიერებისა წყარო ხარ შენ...“* (კონდაკი 1899: 100).

(აღსავლის კართან) *„უფალო, გარდამოავლინე ხელი შენი...“* (კონდაკი 1899: 100).

„შევიდე სახლსა შენსა...“ (კონდაკი 1899: 100-101).

მღვდელმსახურნი შეიმოსებიან და აღესრულება კვეთა

- დაირეკება ზარი (9 + 3) - გზის.
- აღსავლის კარი და კრეტსაბმელი გახსნილია.
- საღმრთო ლიტურგიის დაწყების წინ, აღდგომიდან მის წარგზავნამდე, ნაცვლად „მეუფეო ზეცათაოსი“, ითქმის ტროპარი:

„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით...“ 3-გზის და შემდგომი — **„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა...“** და **„უფალო ბაგენი ჩემნი აღახვენ...“** (სამაგიდო...1983: 573; მითითებები 2011: 288).

დიაკონი: — **აიღებს რა მღვდლისაგან კურთხევას, გამოვა ამბიონზე და ხმამაღლა იტყვის: „გვაკურთხენ მეუფეო“.**

მღვდელი: — **ასამაღ.:** **„კურთხეულ არს მეუფება...“ (გამოსახავს რა სახარებით ჯვარს წმ. ტრაპეზზე).**

გ უ ნ დ ი: — ამინ.

— „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით...“ - 3-გზის.

მღვდელი: — **მუხლი 1-ლი: „აღსდეგინ ღმერთი, და განიბნინედ ყოველნი მტერნი მისნი, და ივლტოდენ მოძულენი მისნი პირისაგან მისისა“.**

გ უ ნ დ ი: — „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით...“ - 1-გზის.

მღვდელი: — **მუხლი მე-2: „ვითარცა მოაკლდენ კვამლსა მოაკლდენ, და ვითარცა ცვილი რა დადნის წინაშე ცეცხლსა“.**

გ უ ნ დ ი: — „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით...“ - 1-გზის.

წიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში, ბატონი კოტე სურგულაძე.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მოუწოდა მათ, რომ საქართველოს დაუბრუნდნენ.

შეხვედრაზე შესრულდა ქართული ხალხური და ქორალური ნაწარმოებები.

ხელდასხმა

31 მარტს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) დიაკვნად აკურთხა ბათუმის სასულიერო სემინარიის I კურსის სტუდენტი **ნიკოლოზ სვანიძე**.

დიაკონი ნიკოლოზი ოზურგეთის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

***

7 აპრილს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული **გიორგი კობალავა**.

***

21 აპრილს ლანჩხუთის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ გიორგი კობალავას.

***

21 აპრილს ლანჩხუთის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) დიაკვნად აკურთხა ბათუმის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **ზაზა ინწკირველი** და სახელად **ზაქარია** უწოდა.

***

28 აპრილს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკონ ზაქარია ინწკირველს**.

მღვდელი ზაქარია ვაკიჯვრის ჯვართამაღლების სახელობისა და ფამფალეთის სამი მღვდელმთავრის სახელობის ეკლესიებში იმსახურებს.

***

27 აპრილს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის მთავარეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული **გიორგი კუპატაძე**.

დიაკონი გიორგი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

***

2 მაისს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის მთავარეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა **ავთანდილ მეგრელიშვილი** და სახელად სოფრომი უწოდა.

დიაკონი სოფრომი დიდი დიღმის ასი ათასიმოწამის სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

***

28 აპრილს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) დიაკვნად აკურთხა **გიორგი სამსონია**.

***

2 მაისს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ გიორგი სამსონიას.

***

11 მაისს მუხათგვერდის ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიაში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი სიონის საპატრიარქო ტაძრის **დიაკონ გიორგი ნადარეიშვილს**, ხოლო დიაკვნად აკურთხა **ალექსანდრე ცანავა**.

მღვდელი გიორგი სიონის საპატრიარქო ტაძარში დაინიშნა.

დიაკონი ალექსანდრე ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

აღკვეცა

26 აპრილს ერკეთის მთავარნგელოზთა სახელობის დედათა მონასტერში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მონაზვნად აღკვეცა ამავე მონასტრის წევრები: **სამონაზვნე ელენე რამიშვილი** — სახელად უწოდა **სარა, სამონაზვნე თეოდორა ყარეჯიშვილი** — სახელად უწოდა **ტაისია, სამონაზვნე ნანა მეტრეველი** – სახელად უწოდა **ეკატერინე** და **სამონაზვნე თამარ გელანტია** — სახელად უწოდა **სოსანა**.

ამავე დღეს სამონაზვნეებად იკურთხნენ: ერკეთის მონასტრის მორჩილები: **თამარ დიასამიძე**— სახელად ეწოდა **თამარი, ეთერი სიჭინავა** — სახელად ეწოდა **ელენე**, ჯიხეთის დედათა მონასტრის მორჩილი: **ნანი მეფარიშვილი** — სახელად ეწოდა **ნანა**.

მორჩილებად იკურთხნენ ჯიხეთის მონასტრის

წევრები: **თეონა დვალიშვილი** – სახელად ეწოდა **თეკლა** და **ნანა ლომია** — სახელად ეწოდა **ნანა**.

***

26 აპრილს დედოფლისწყაროს წმინდა ილია თეზბიტელის სახელობის მამათა მონასტერში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის **მორჩილი ბასილი** და სახელად **მიქაელი** უწოდა (წმინდა ახალმოწამე მიქაელ ყულოშვილის სახელზე).

***

29 აპრილს შავნაბადის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში არქიმანდრიტმა შიომ (გაბრიჭიძე) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები: **ზურაბ გოგოლაძე** — სახელად უწოდა **სერგი**, **კახაბერ ვეფხვაძე** — სახელად უწოდა **დიმიტრი**, **ნოდარ გორჯოლაძე** — სახელად უწოდა **მიქაელი**.

***

1 მაისს შავნაბადის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში არქიმანდრიტმა შიომ (გაბრიჭიძე) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები: **დავით შოშიაშვილი** — სახელად უწოდა **მარკოზი**, **დავით სკამკოჩაიშვილი** — სახელად უწოდა **მოსე**, **დავით პეტონაშვილი** — სახელად უწოდა **იოსები**, **გიორგი ბედინაშვილი** — სახელად უწოდა **პლატონი**.

***

3 მაისს შავნაბადის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში არქიმანდრიტმა შიომ (გაბრიჭიძე) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები: **ირაკლი ომსარაშვილი** — სახელად უწოდა **თეოდორე**, **მამია დიასამიძე** — სახელად უწოდა **ევდემოზი**, **ნიკოლოზ ბარდაძე** — სახელად უწოდა **ისაკი**, **გოჩა გორჯოლაძე** — სახელად უწოდა **გაბრიელი**.

***

2 მაისს ოზურგეთის სამღვდელმთავრო რეზიდენციის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) ბერად აღკვეცა ჯუმათის მთავარანგელოზთა სახელობის მამათა მონასტრის მორჩილები: **იოსებ ხორბალაძე** — სახელად უწოდა **ვარაქიელი** და **დავით შარვაშიძე** — სახელად უწოდა **იაკობი**.

დაჯილდოება

7 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტმა თადეოზმა (იორამაშვილი) დააჯილდოვა ეპარქიის სამღვდელოება:

მიტრით — თიანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი მიქაელ ფილაური**;

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — მაღაროსკარის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **მღვდელი კახაბერ მესხი**;

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — თიანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, **მღვდელი გიორგი ბერბერაშვილი**.

საქართველოში წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის წმინდა ნაწილი ჩამობრძანდა

25 მაისს საქართველოში ჩამოვიდა ელადის ეკლესიის დელეგაცია, რომელმაც კუნძულ კორფუდან ჩამოაბრძანა წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის მარჯვენის წმინდა ნაწილი. დელეგაციას ხელმძღვანელობს კორფუს მიტროპოლიტი ნექტარიოსი (დიმიტრიოსი). მისი თანმხლები პირები არიან: კერკირას დიმარხი (მერი) იოანის ტრეპეკლისი, არქიმანდრიტი ევანგელოსი (კიურტრასი), არქიმანდრიტი სპირიდონი (ლინოსპორისი), დიაკონი მონასტირიოტის ნიკოლაოს, წმიდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის წმინდა ნაწილების მცველი ხრისტოს პაპადოპულოსი, მედავითნე ნიკოლაოს პაპადიმიტრიუ და ქართველი ბიზნესმენები: ხარებავა თენგიზი და ზედგინიძე მარინე.

თბილისის აეროპორტში ბერძენ სტუმრებს დახვდა საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), საპატრიარქოს წარმომადგენლები, მრევლი.

ჩამოსვლისთანავე ბერძენი სტუმრები საპატრიარქოში მივიდნენ, სადაც ისინი მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. კათოლიკოს-პატრიარქმა, სასულიერო პირებთან ერთად, ლოცვითა და გალობით, წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის წმინდა ნაწილი საპატრიარქოს შენობას შემოატარა, რის შემდეგაც წმინდა ნაწილი საპატრიარქოს რეზიდენციაში დაბრძანეს. კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, წმინდა სპირიდონის სიწმინდესთან მცირე პარაკლისი გადაიხადა საპატრიარქოს განათლების ცენტრის თავმჯდომარემ, რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი).

იმავე დღეს სიწმინდე ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში გადააბრძანეს, სადაც ორი დღის განმავლობაში იყო დაბრძანებული და მრევლს საშუალება ჰქონდა თაყვანი ეცა მისთვის.

26 მაისს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ

მოძღვრის რეკომენდაცია;

5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს მომავალი საკვლევი თემის აქტუალობა და მნიშვნელობა;

6. თსას-ის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს წარდგინება;

7. 2 ფოტოსურათი (3×4) დისკთან ერთად.

გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1. პატროლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებაზე ბარდება სპეციალობა —— პატროლოგია (ზეპირი);

2. ეკლესიის ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებაზე:

ა) ზოგადი ეკლესიის ისტორია (ზეპირი);

ბ) საქართველოს ეკლესიის ისტორია (ზეპირი).

3. ორივე საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველები აბარებენ გამოცდას ერთ-ერთ ევროპულ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ახალი ბერძნული ან რუსული). უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდება B2 დონის დამადასტურებელი დიპლომის ან სერთიფიკატის მქონე პირები.

გამოცდების დაწყებამდე ჩატარდება გასაუბრება ორივე მიმართულებაზე. გასაუბრებისას პატროლოგიასა და ზოგადი ეკლესიის სპეციალობაზე ჩარიცხვის მსურველებს მოეთხოვებათ ძველი ბერძნული ენის პირველსაფუძვლების ცოდნა.

საბუთები მიიღება 2013 წლის 18 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დოქტორანტურის განყოფილებაში 10 სთ-დან 15 სთ-მდე.

გასაუბრება ჩატარდება 1 ოქტომბერს.

გამოცდები ჩატარდება

პატროლოგიაში — 3 ოქტომბერს,

ეკლესიის ისტორიაში (ორივე მოდული) — 4 ოქტომბერს,

უცხო ენაში — 7 ოქტომბერს.

ჩარიცხვა — 10 ოქტომბერს.

მისამართი:

საქართველო, თბილისი, სიონის ქ. 13/40.

ელ-ფოსტა: sasuliero_akademia@yahoo.com

დამატებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით:

T. 555 18 16 11 T. 551 29 72 77

ნიკო ბაგრატიონის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი გიწვევთ 2013-2014 სასწავლო წელს

ნიკო ბაგრატიონის სკოლა-ლიცეუმი დაარსებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და პარტონაჟით.

ლიცეანტები წარჩინებით აბარებენ საატესტატო და ეროვნულ გამოცდებს;

ირიცხებიან საქართველოს და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

გვაქვს გაცვლითი პროგრამები პოლონეთის, რუსეთის და საბერძნეთის სკოლებში.

უცხო ენების გაძლიერებული სწავლება (ინგლისური, რუსული, ბერძნული).

ვატარებთ შემოქმედებით-კულტურულ ღონისძიებებს, გამოფენებს, ოლიმპიადებსა და ექსკურსიებს; ვიწვევთ საინტერესო სტუმრებს.

გვაქვს სიახლე: IX, X, XI კლასის მოწაფეებს ეძლევათ უნიკალური შანსი, დაეუფლონ პროფესიულ განათლებას ხატვის, მუსიკისა და კინოს სფეროში. ამ მიზნით სკოლა-ლიცეუმში გახსნილია: დავით კაკაბაძის სახ. სამხატვრო სტუდია (ფერწერა, ხატწერა, ოქრომკედი, ხელოვნებათმცოდნეობა), ოთარ გორდელის სახ. სამუსიკო სტუდია (ფორტეპიანო, ვიოლინო, ხალხური საკრავები) და ვასო ამაშუკელის სახ. კინო-სტუდია (რეჟისურა, საოპერატორო, კინომცოდნეობა). სწავლა სამწლიანია. გაიცემა პროფესიული სერტიფიკატები და დიპლომები.

სკოლა-ლიცეუმს ჰყავს მოძღვარი. დამკვიდრდა სახარების, „ვეფხისტყაოსნი", კატეხიზმოს, ეტიკეტის, ინდივუალური პროგრამებით სწავლება.

კლასები დაკომპლექტებულია 8-10 მოწავლით. სკოლა-ლიცეუმში სუფევს მშვიდი და მეგობრული გარემო პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის.

სკოლა-ლიცეუმს გავლილი აქვს ავტორიზაცია.

ჩვენი დევიზია: „სწავლა რეპეტიტორების გარეშე!"

სწავლა იწყება 3 სექტემბერს.

ჩვენი მისამართია: ბუდაპეშტის ქ. #1/პეკინის 42 (ყოფილი ბრიტანული სკოლა).

ტელ.: 899423011; 361258; 591 62 83 89; 895776636; www.bagrationi-liceumi.ge; info@bagrationi-liceumi.ge

ხელდასხმა

2 მაისს ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში დიაკვნად აკურთხა **მუხრან ხარაზიშვილი** და სახელად **იოანე** უწოდა.

დიაკონი იოანე ბოდბის ეპარქიაში იმსახურებს.

***

30 მაისს ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის (უზნაძის ქუჩა) **დიაკონ გიორგი ზაქარიაძეს,** ხოლო დიაკვნად აკურთხა **გაგა დოგრაშვილი** და სახელად **სპირიდონი** უწოდა.

მღვდელი გიორგი თბილისის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში (უზნაძის ქუჩა) იმსახურებს.

დიაკონი სპირიდონი ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში დაინიშნა..

***

1 ივნისს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის მთავარეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხა ხელი სიონის საპატრიარქო ტაძრის **დიაკონ იოანე ნუცუბიძეს,** ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **დავით ინწკირველი.**

მღვდელი იოანე ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

დიაკონი დავითი მცხეთაში, არმაზის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

***

1 ივნისს ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი გამარჯვების წმინდა ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკონ ეგნატეს (ჯანგირაშვილი).**

მღვდელ-მონაზონი ეგნატე გამარჯვების მამათა მონასტერში იმსახურებს.

***

9 ივნისს ბოლნისის ყოველადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკონ ნიკოლოზ ტაბაღუას,** ხოლო კერძო დიაკვნად აკურთხა ფიტარეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის **ბერი ეფრემი (ფირანიშვილი).**

მღვდელი ნიკოლოზი ავჭალის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

***

9 ივნისს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი)

მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის **მთავარ დიაკონ ნიკოლოზ პეტროვსკის,** ხოლო დიაკვნად აკურთხა ამავე ტაძრის სტიქაროსანი **ირაკლი ჯალიაშვილი.**

ტაძრის კურთხევა

23 მაისს ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში მდებარე მაცხოვრის ნათლისღების სახელობის ეკლესია აკურთხა.

***

30 მაისს ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) თბილისში, კანდელაკის ქუჩა 6-ში მდებარე წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახელობის ეკლესია აკურთხა.

ტაძრის საფუძვლის კურთხევა

23 მაისს ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) თბილისში, იოსებიძის ქუჩაძე, 62-ე საშუალო სკოლის ტერიტორიაზე აკურთხა წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის საფუძველი.

დაჯილდოება

6 მაისს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, **დეკანოზი ლევან ჟღენტი.**

***

11 მაისს ხობის (ნოჯიხევის) ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტერში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიტრით დააჯილდოვა ამავე მონასტრის მწირველი მოძღვარი, **დეკანოზი ილია ლომაია,** ხოლო გამშვენებული ჯვარი უბოძა მონასტრის წინამძღვარს, **ილუმენია ანას (მუსელიანი).**

***

31 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოილოცა საბურთალოზე მდებარე წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია. მისმა უწმინდესობამ დალოცა აქაური მრევლი და ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი იოსებ გოგოლაძე** მეორე გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა.

***

2 ივნისს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრით — მუხიანის წმინდა მირიან და ნანას სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, **დეკანოზი გრიგოლ აბესაძე** და მარტყოფის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **მღვდელი იოანე მაზანაშვილი;**

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრ „თანადგომის" ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო კუჭაიძეს გარდაეცვალა მეუღლე, ვიტალი-ვიქტორ კუჭაიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული ვიქტორის სული.

კათოლიკოს-პატრიარქი წმინდა ნინოს სახელობის ტაძარს ეწვია

1 ივნისს, წმინდა ნინოს ხსენების დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე წმინდა ნინოს სახელობის ტაძარს ეწვია.

კათოლიკოს-პატრიარქს მიეგება ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი იოსებ გოგოლაძე, მრევლთან ერთად. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სავედრებელი პარაკლისი აღავლინა და მრევლი დალოცა. დეკანოზი იოსებ გოგოლაძე მეორე გამშვენებული ჯვრით დაჯილდოვდა.

საჯარო ნათლობა ხულოში

17 ივნისს ხულოში კათოლიკოს-პატრიარქმა საჯარო ნათლობა აღასრულა. ზემო აჭარის ამ რეგიონში 1300-მდე ქართველი მოინათლა. ისინი კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ნათლულები გახდნენ.

ემბაზი ხულოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის საკათედრო ტაძრის ეზოში მოეწყო.

წირვისა და ნათლობის დასრულების შემდეგ უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ქადაგებით მიმართა ტაძარში შეკრებილ საზოგადოებას, დალოცა იქ მყოფი მრევლი და ახლად მოქცეული ქრისტიანები. დასასრულს, მან **სხალთელ ეპისკოპოს სპირიდონს (აბულაძე)** ეკლესიაში ერთგული და თავდადებული სამსახურისათვის მთავარეპისკოპოსის წოდება მიანიჭა.

უფრო ვრცელ ინფორმაციას ამის შესახებ ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

ხელდასხმა

13 ივნისს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ვეძისის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკონ გაბრიელს (პატარიძე).**

მღვდელ-მონაზონი გაბრიელი ვეძისის მამათა მონასტერში იმსახურებს.

ტაძრის საფუძველის კურთხევა

11 ივნისს ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე აკურთხა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის საფუძველი.

დაჯილდოება

13 ივნისს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

მიტრით — სანკტ-პეტერბურგის „შესტიკოვის" ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, **დეკანოზი პავლე ჯანგავაძე;**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, **მღვდელი ალექსანდრე ბეჟიტაშვილი.**

***

13 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოილოცა თბილისში, სოლოლაკში მდებარე მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესია და დალოცა ამ ტაძრის მრევლი. მისმა უწმინდესობამ მეორე გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა ამავე ტაძრის წინამძღვარი, **არქიმანდრიტი საბა (ჯიშკარიანი),** ხოლო ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — ტაძრის მღვდელმსახური, **მღვდელი ნიკოლოზ თურმანიძე.**

***

16 ივნისს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, **დეკანოზი დავით გოცირიძე.**

სამძიმრის წერილი

მარადიულობის გზას შეუდგა ქართული კულტურის დიდი მოამაგე, გამორჩეული რეჟისორი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ბატონი გიგა-გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჭეშმარიტი ღირებულებების დამკვიდრებას ემსახურებოდა. ამიტომაც მისი გარდაცვალება ჩვენი საზოგადოებისათვის დიდ გულისტკივილთანაა დაკავშირებული. აღვავლენთ ლოცვებს, რათა უფალამან სავანესა მართალთასა დააწესოს ბატონი გიგა-გიორგის უკვდავი სული.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი
ილია II

ქრონიკა ინფორმაცია

კათოლიკოს-პატრიარქმა აფხაზეთიდან ჩამოსული აბიტურიენტები დალოცა

24 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საპატრიარქოს რეზიდენციაში მიიღო აფხაზეთიდან ჩამოსული ახალგაზრდობა. შეხვედრას, რომელიც რესურს-ცენტრის ინიციატივით შედგა, აგრეთვე ესწრებოდნენ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი, ბატონი ალექსანდრე აპლაკოვი და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ქალბატონი მაია მიმინოშვილი.

კათოლიკოს-პატრიარქმა დალოცა გალის რაიონის დამამთავრებელი კლასის სკოლის მოსწავლეები და მათი პედაგოგები და უსურვა წარმატებით ჩარიცხულიყვნენ ქვეყნის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გზა დაულოცა ახალგაზრდებს და საჩუქრად თავისი ეპისტოლენი და ტკბილეულობა გადასცა.

თბილისის სასულიერო სემინარია-აკადემიის განცხადება

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია აცხადებს მიღებას დოქტორანტურში ორი საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით:

- პატროლოგია — პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი ედიშერ ჭელიძე;
- ეკლესიის ისტორია:

მოდული ა) მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია — პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი, დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია;

მოდული ბ) საქართველოს ეკლესიის ისტორია — პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი სერგო ვარდოსანიძე.

დოქტორანტურაში სწავლების უფლება აქვს მართლმადიდებლური თეოლოგიის მაგისტრის ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მონათესავე დარგში აკადემიური ხარისხის მქონე პირს. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია. სწავლება ქართულ ენაზეა.

დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს რექტორის სახელზე შეაქვს განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს შესაბამისი სადოქტორო პროგრამა.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

1. მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
3. თეოლოგიის მაგისტრის ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მონათესავე დარგში აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
4. შესაბამისი ეპარქიის მღვდელმთავრისა და მოძღვრის რეკომენდაცია;
5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს მომავალი საკვლევი თემის აქტუალობა და მნიშვნელობა;
6. თსას-ის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს წარდგინება;
7. 2 ფოტოსურათი (3X4) დისკთან ერთად.

გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1. პატროლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებაზე ბარდება სპეციალობა —— პატროლოგია (ზეპირი);
2. ეკლესიის ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებაზე:

ა) მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია (ზეპირი);

ბ) საქართველოს ეკლესიის ისტორია (ზეპირი).

3. ორივე საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველები აბარებენ გამოცდას ერთ-ერთ ევროპულ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ახალი ბერძნული ან რუსული). უცხოური ენის გამოცდისაგან თავისუფლდება 2 დონის დამადასტურებელი დიპლომის ან სერტიფიკატის მქონე პირები.

გამოცდების დაწყებამდე ჩატარდება გასაუბრება ორივე მიმართულებაზე. გასაუბრებისას პატროლოგიასა და ზოგადი ეკლესიის სპეციალობაზე ჩარიცხვის მსურველებს მოეთხოვებათ ძველი ბერძნული ენის პირველსაფუძვლების ცოდნა.

საბუთები მიიღება 2013 წლის 18 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დოქტორანტურის განყოფილებაში, 10 სთ-დან 15 სთ-მდე.

გასაუბრება ჩატარდება 1 ოქტომბერს.

გამოცდები ჩატარდება

პატროლოგიაში — 3 ოქტომბერს,

ეკლესიის ისტორიაში (ორივე მოდული) — 4 ოქტომბერს,

უცხოურ ენაში — 7 ოქტომბერს.

ჩარიცხვა — 10 ოქტომბერს.

მისამართი: საქართველო, თბილისი, სიონის ქ. 13/40.

ვებ-გვერდი: www.tsas.ge

დამატებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით:

T. 555 18 16 11; 551 29 72 77

ხელდასხმა

23 ივნისს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშ-

ვილი) მღვდლად დაასხა ხელი მლეთის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკონ კახაბერს (გოგალაძე).**

მღვდელ-მონაზონი კახაბერი მლეთის მამათა მონასტერში იმსახურებს.

***

23 ივნისს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის მიტროპოლიტმა ვახტანგმა (ახვლედიანი) დიაკვნად აკურთხა **გრიგოლ სულთანიშვილი.**

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ სამრევლო სკოლის პედაგოგს, სიონის საპატრიარქოს ტაძრის მღვდელმსახურის, დეკანოზ ბესარიონ ცინცაძის მეუღლეს, ანა მელიწკაურ-ცინცაძეს გარდაეცვალა დედა, მანია-მარიამ მელიწკაური და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული მარიამის სული.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

დერმატოლოგი — 28 ივნისს, 16.00 — 17.00 სთ.;

პულმონოლოგი და ფთიზიატრი — 29 ივნისს, 12.00-13.00 სთ.;

ანგიოლოგი — 29 ივნისს, 13.00-14.00 სთ.;

ნევროპათოლოგი და ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვ.) — 30 ივნისს, 12.00-14.00 სთ.;

კარდიოლოგი — ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) — 13.00-15.00 სთ.

სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.

სამოციქულოს განმარტება

I კვირა სულთმოფენობიდან

ყოველთა წმიდათა კვირა

ღვთის წმინდანთა დასი უცილობელი მოწმეა იმისა, რომ საღვთო მიზანი მიღწეულია

ამ კვირის მსახურებაში უპირველესად განედიდება ქრისტეს აღდგომა, ასევე მოიხსენიება ღვთივსათნო წმინდანთა დასი, მათი დიდებული საქმენი. საეკლესიო საგალობლები აქებს პატრიარქებს, წინასწარმეტყველებს, მოციქულებს, მოწამეებს, აღმსარებლებს, განმანათლებლებს, წმინდათა და მართალთა დედათა და მამათა, რომლებიც უკუნისამდე სათნოეყვნენ უფალს და, უპირველესად, ყოვლადწმინდა დედა ღვთისმშობელს.

ჩვენც განვადიდებთ მათ და ლოცვასა და მეოხებას ვთხოვთ ღვთის წინაშე. წმინდა სულის საღვთო წყალობამ განანათლა და სრულქმნა წმინდა მამანი და დედანი, ჩაწერა ისინი ზეციურ დასში და აქცია ღირსეულ მლოცველებად ჩვენთვის ღვთის წინაშე; ამიტომ მოციქულებზე სულიწმინდის მოფენის დღესასწაულის აღსრულებისა და მისი მადლისმომნიჭებელი ძალის განდიდების შემდეგ, საჭიროა ვადიდოთ ის მიმღებნიც საღვთო მადლისა, ვინც უკვე განიწმინდა და სრულიქმნა წმინდა და ცხოველსმყოფელი სულიწმინდის მიერ. დღევანდელი დღესასწაულით აღესრულება ასევე იმ ღვთივსათნო წმინდანების პატივი და დიდება, რომელთათვისაც, თავიანთი მრავალრიცხოვნების გამო და იმიტომ, რომ ჩვენთვის უცნობნი არიან, განსაკუთრებული მოხსენიების დღე არ დადგენილა.

ღვთის წმინდანთა დასი უცილობელი მოწმეა იმისა, რომ საღვთო მიზანი მიღწეულია, რომ ჩვენთვის ზეციდან გარდამოსული ნუგეშინისმცემელი ჭეშმარიტად გვხდის შემძლეს, ხორცში მყოფმა ადამიანებმა ადგილი დავიმკვიდროთ ზეციური მამის სამეუფოში. და მიზანი, რის გამოც მაცხოვარმა დატოვა მიწა და ზეცად აღვიდა, რის გამოც წმინდა სულმა ზეცა დატოვა და მიწაზე გარდამოვიდა — არის ადამიანთა ცოდვილი მოდგმის განწმენდა, ყველა ჩვენგანის ზეცად აყვანა და არა სხვა რამ.

მაგრამ ვინ იყვნენ ღვთის წმინდანნი, რომელთაც განვადიდებთ, თუ არა ჩვენი მსგავსი ადამიანები? ამიტომ მათი დიდება არის დიდება მაცხოვნებელი ძისა და სულიწმინდისა: ძე ღვთისას გარეშე არც ერთი მათგანისთვის არ გაიხსნებოდა ზეცა და სულიწმინდის მადლის გარეშე ვერც ერთი შევიდოდა სამოთხეში. ამგვარად, დღევანდელი დღესასწაული, ყველა წმინდანის განსადიდებელი, ძალიან ბუნებრივი და აუცილებელია.

საღვთო თანმიმდევრობა და წმინდა ეკლესიის დღესასწაულთა ბრძნული სიმწყობრე მოგვიწოდეს, ჩვენს თავს ვკითხოთ: არსებობს კი თანმიმდევრობა, წმინდა თანწყობა ჩვენს დღესასწაულებშიც? ჩვენ ახლა გავიარეთ დღესასწაულების მთელი ციკლი და მივაღწიეთ დღესასწაულთა დასასრულს დროში.

როტო საკითხი განიხილეს, მათ შორის იმსჯელეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შესახებ, ასევე საზღვრების თაობაზე, აღინიშნა, რომ მათი შეცვლა უკანონოდ მიმდინარეობს და დაისვა დევნილების საკითხი.

პატრიარქმა რუსეთის პრეზიდენტისგან მიიღო დაპირება, რომ ახლო მომავალში ჩაერთვება ლტოლვილების დაბრუნების საკითხის გადაწყვეტაში და ხელს შეუწყობს დევნილების დაბრუნებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში...

მოსკოვში მიიღეს დოკუმენტი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ქრისტიანთა მძიმე მდგომარეობის შესახებ. საქართველოს დელეგაციამ მხარი დაუჭირა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მძიმე მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს და სურვილი გამოთქვა, რომ მათ გვერდით დოკუმენტის ტექსტში ჩართული ყოფილიყო აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, რაც უკვე მიღებულ მემორანდუმში ვერ მოხერხდა. თუმცა რუსეთის პატრიარქისგან მივიღეთ დაპირება, რომ მომზადდება ახალი დოკუმენტი, რომელშიც ეს საკითხები გაშუქდება და იგი მთლიანად აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის პრობლემებს დაეთმობა.

რაც შეეხება აფხაზეთში არსებულ ტაძრებს, იქ კვლავინდებურად მძიმე მდგომარეობა რჩება. რუსეთი აცხადებს, რომ შეძლებისდაგვარად ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ არსებული მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალოს... ვცდილობთ, რომ ქართული სამღვდელოება შევიდეს აფხაზეთში, ჯერ თუნდაც მხოლოდ კოდორის ხეობასა და გალის რაიონში.

ვიტოვებთ იმედს, რომ რუსეთი დანაპირებს შეასრულებს და ის შეთანხმემები, რომლებსაც მივაღწიეთ, განხორციელდება."

მოამზადა
მარიამ გაგუამ

ქრონიკა ინფორმაცია

საძირკვლის კურთხევა

10 ივლისს ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა აფრიკის დასახლებაში, ჭიჭინაძის ქუჩაზე მდებარე მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრის საძირკველი.

აღკვეცა

11 ივნისს, ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობის (იაკობიშვილი) ლოცვა-კურთხევით, წმინდა სტეფანე ხირსელის მამათა მონასტერში, მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ლაზარემ (გრძელიშვილი) **ბერად აღკვეცა მორჩილი გიორგი ქილიტაური** და სახელად **ისიდორე** უწოდა.

ხელდასხმა

30 ივნისს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ქვემო მლეთის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **დიაკონ დავით ზურაბაშვილს.**

***

16 ივლისს გერგეტის ყოვლადწმინდა სამების სახელობის მამათა მონასტერში სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსმა იეგუდიელმა (ტაბატაძე) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის სახელობის საძმის წევრ, **ბერ-დიაკონ ისიდორეს (ნებიერიძე),** ხოლო დიაკვნად აკურთხა ამავე საძმოს წევრი, **ბერი იოანე (მჭედლიშვილი).**

***

21 ივლისს თიანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტმა თადეოზმა (იორამაშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის II კურსის სტუდენტი **ირაკლი გვაზავა.**

დიაკონი ირაკლი თბილისის წმინდა ანტონ მარტყოფელის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

***

21 ივლისს ბაღდადის საკათედრო ტაძარში ვანისა და ბაღდადის მიტროპოლიტმა ანტონმა (ბულუხია) მღვდლად დაასხა ხელი ვაკის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის **დიაკონ გიორგი ჯულუხიძეს.**

***

25 ივლისს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის სახელობის საძმოს წევრ, **ბერ-დიაკონ სვიმონს (ჯიბლაძე),** ხოლო დიაკვნად აკურთხა **დავით ჩახვაშვილი.**

***

27 ივლისს მუხათგვერდის ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიაში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკონ გიორგი შენგელაიას.**

მღვდელი გიორგი სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ახალგორის რაიონის სოფელი იკოთის დედათა მონასტერში გარდაიცვალა **მონაზონი მარიამი (გიგაური)** და სამძიმარს უცხადებს მონასტერს და განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიონ ახლად შესვენებული მონაზონი მარიამი.

ხალხს ეთქვა, აი, ყველიც ჰქონიათო.

დღეს ადამიანი მხოლოდ მომხმარებლად იქცა, ძალიან მომთხოვნი გახდა. უნდა იფიქროს იმაზეც, თვითონ რას აკეთებს სხვებისთვის; რა გააკეთა ან ქვეყნისთვის, ან ოჯახისთვის. არ შეიძლება ადამიანი იყოს საქმის გარეშე. ამიტომ, როდესაც უფლებებზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ჯერ პასუხისმგებლობაზე ვიფიქროთ. დიდია ყოველი ადამიანის პასუხისმგებლობა ღვთის წინაშე. ამიტომ მინდა გირჩიოთ და ლოცვა-კურთხევა მოგცეთ, იყავით გულისხმიერნი, დაინახეთ სხვა ადამიანების გაჭირვება და დაეხმარეთ მათ.

ღმერთმა მოგცეთ გონება! ღმერთმა მოგცეთ გული გონიერი! ღმერთმა მოგცეთ ხედვა სხვა ადამიანის გაჭირვებისა!

დღეს ჩვენთან ერთად წირვაში მონაწილეობდა მღვდელმთავარი საბერძნეთიდან, ალექსანდროპოლისის მიტროპოლიტი ანთიმოზი.

გულითადად მივესალმებით მას და მის თანმხლებ პირებს. ღმერთმა მშვიდობა მისცეს!

ჩვენთან არს ღმერთი!

ქადაგებები მოამზადა
მარიამ გაგუამ

ქრონიკა ინფორმაცია

ხელდასხმა

14 ივლისს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის მთავარეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის საძმოს წევრს, **ბერ-დიაკონ ბასილს (კორტავა).**

მღვდელ-მონაზონი ბასილი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში იმსახურებს.

* * *

8 აგვისტოს სანზონის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკვან დავით აფციაურს**, ხოლო დიაკვნად აკურთხა **გიორგი ხუბაშვილი.**

მღვდელი დავითი და დიაკვანი გიორგი სანზონის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში იმსახურებენ.

* * *

16 აგვისტოს თბილისის წმინდა დავით მეფსალმუნის სახელობის ეკლესიაში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკვან ზაზა გაბედავას**, ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული **გიორგი მეტრეველი.**

დიაკვანი გიორგი თბილისის წმინდა დავით მეფსალმუნის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

19 აგვისტოს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის დედათა მონასტერში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკვან გაბრიელ ბარბაქაძეს**, ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის III კურსის სტუდენტი **ნიკოლოზ მაისურაძე.**

დიაკვანი ნიკოლოზი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

28 აგვისტოს დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის **დიაკვან გიორგი ფოცხიშვილს.**

მღვდელი გიორგი დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

* * *

5 სექტემბერს დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის სტიქაროსანი **ბექა ქუთელია.**

დიაკვანი ბექა დასავლეთ ევროპის ეპარქიაში იმსახურებს.

დიდ სქემაში აღკვეცა

11 სექტემბერს ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მლეთის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **არქიმანდრიტი სერაპიონი (ჯიშკარიანი)** დიდ სქემაში აღკვეცა და სახელად **იოანე** უწოდა.

ვარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), მესტიისა და ზემო სვანეთის მთავარეპისკოპოსი ილარიონი (ქიტიაშვილი), ბოლნისის მთავარეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე) და სხალთის ეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე).

2 სექტემბერს კათოლიკოს-პატრიარქი უშგულს ეწვია, სადაც დაათვალიერა და მოილოცა ლამარიას აღდგენილი და განახლებული სამონასტრო კომპლექსი.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მესტიისა და ზემო სვანეთის მთავარეპისკოპოსი ილარიონი (ქიტიაშვილი) მიტროპოლიტის წოდებით დააჯილდოვა.

იმავე საღამოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, თანმხლებ პირებთან ერთად, თბილისში დაბრუნდა.

გელათის მეცნიერება აკადემიის გასვლითი კონფერენცია

წელს, 21-22 სექტემბერს, 2003 წლის შემდეგ, პირველად ჩატარდა გელათის მეცნიერებათა აკადემიის გასვლითი კონფერენცია გელათის მეცნიერებათა აკადემიის ახლად აღდგენილ ისტორიულ შენობაში.

21 სექტემბერს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ (მარგალიტაშვილი) გელათის ტაძარში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სადღესასწაულო წირვა აღავლინა. მისი თანამწირველი იყო გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტი იოანე.

წირვის დასრულების შემდეგ მეუფე კალისტრატემ გელათის აკადემიის წევრებს საჩუქრები გადასცა და სადღესასწაულო ტრაპეზზე მიიწვია.

დღის მეორე ნახევარში დაიწყო გელათის აკადემიის კონფერენციის პირველი სხდომა. მიტროპოლიტმა კალისტრატემ აკადემიკოსებს ეს ღირსსახსოვარი დღე მიულოცა და ხაზი გაუსვა მათ განსაკუთრებულ სამეცნიერო ღვაწლს ქვეყნის წინაშე. სამეცნიერო კონფერენცია გახსნა გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, მიტროპოლიტმა იოანემ.

კონფერენციაზე მოხსენებით წარდგა ყველა იქ დამსწრე აკადემიკოსი: აკად. დამანა მელიქიშვილი: „იოანე, პლატონური ფილოსოფოსი, ზედწოდებით — პეტრიწი“.

აკად. თედო უთურგაიძე: „ზმნათა შერეული ფორმები ძველ ქართულსა და დიალექტებში“;

აკად. ელდარ ბუბულაშვილი: „ღვაწლი ილარიონ (ყანჩაველი) ქართველი ახლისა (1776-1864)“;

აკად. დეკანოზი ბიძინა გუნია: „17 მაისის მოვლენების სარწმუნოებრივი შეფასება“.

აკად. ავთანდილ ნიკოლეიშვილი: „გრიგოლ ორბელიანი და „სამუსლიმანო“ საქართველო“;

აკად. ზაზა ალექსიძე: „ბიზანტიის იმპერიის უცნობი ქართველი მოხელე“;

აკად. გიორგი მჭედლიძე: „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და ქუთაისის ეპარქია“;

აკად. ზურაბ ჭუმბურიძე: „სიმონეთის ეტიმოლოგიისათვის“.

აკად. ლევან ბრეგაძე „ალექსანდრე ყაზბეგი ფრიდრიხ ბაიერნის არქეოლოგიურ ანგარიშში“;

აკად. როლანდ თოფჩიშვილი: „ქართველთა კვების კულტურის ისტორიიდან — სულგუნი“.

აკად. ჯამბულ ბიწაძე: „საქართველოს საგადასახადო ორგანოების ფუნქციონირების სრულყოფის წინადადებები“.

გელათის მეცნიერება აკადემიის გასვლითი 2-დღიანი კონფერენცია 22 სექტემბერს საზეიმოდ დაიხაურა.

ხელდასხმა

4 აგვისტოს რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **ბერ-დიაკონ ანდრიას (გვეხიძე).**

მღვდელ-მონაზონი ანდრია ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა.

20 აგვისტოს რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) **ბერი პეტრე (შხვაცაბაია)** დიაკვნად აკურთხა.

28 აგვისტოს რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკონ გიორგი თავშავაძეს.**

დიდ სქემაში აღკვეცა

20 აგვისტოს რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა **დეკანოზი შალვა აბუაშვილი** და სახელად **რაჟდენი** უწოდა.

21 აგვისტოს რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა **ბერი ტიმოთე (ხუფაცარია)** და სახელად **პიმენი** უწოდა.

27 აგვისტოს რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა **ბერი სისო (ზვიადაძე)** და სახელად **ეფრემი** უწოდა.

31 აგვისტოს რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა **ბერი რომანოზი (ნოზაძე)** და სახელად **ტიმოთე** უწოდა.

ტაძრების კურთხევა

25 აგვისტოს რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა ქარელის მუნიციპალიტეტის **სოფელ ფცის** წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია.

26 აგვისტოს რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა ხაშურის მუნიციპალიტეტის **სოფელ ბიჯნისის** წმინდა მარინეს სახელობის ეკლესია.

17 სექტემბერს რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა ხაშურის მუნიციპალიტეტის **სოფელ ცხრამუხის** ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესია.

ბერად აღკვეცა

23 აგვისტოს რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერად აღკვეცა **მორჩილი დავით აგუმავა** და სახელად **დომენტი** უწოდა.

სახარების განმარტება

სულთმოფენობიდან მე-15 კვირა

ლუკას სახარება

უწმიდურ სწავლებებში მოქცეული ადამიანები ვნებებსა და ცოდვებს უმეტესად ემონებიან

და იყო ვითარ ერი იგი დაესხმოდა მას სმენად სიტყუასა ღმრთისასა, და თავადი დგა კიდესა თანა ტბისა მის გენესარეთისასა. 2. და იხილნა ორნი ნავნი, მდგომარენი კიდესა მის ტბისასა; ხოლო მესათხევლენი იგი გამოვიდეს ნავისა მისგან და განჰრცხიდეს ბადეთა. 3. და შევიდა ერთსა მას ნავსა, რომელი იყო სიმონისი, და უბრძანა მათ ქუეყანით შე-რე-დგინებაი მცირედ და დაჯდა და ასწავებდა ნავით გამო ერსა მას. 4. და ვითარცა დასცხრა სიტყუად, ჰრქუა სვიმონს: შეავლინე ღრმად და სდევით ბადე თქუენი ნადირობად. 5. მიუგო სვიმონ და ჰრქუა: მოძღუარ, ღამე ყოველ დავშუერით და არარაი მოვიღეთ, ხოლო სიტყვითა შენითა გარდაუტეოთ ბადე. 6. და ესე რაი ყვეს, შეაყენეს თევზისა სიმრავლე დიდი, და განსთქდებოდეს ბადენი მათნი. 7. და წამ-უყოფდეს, რომელნი-იგი იყვნეს ერთსა მას ნავსა, რაითა მოვიდენ და შეეწინენ მათ. და მოვიდეს და აღავსნეს ორნივე იგი ნავნი, ვიდრემდე დაინთქმოდეს იგინი. 8. და ვითარცა იხილა სიმონ-პეტრე, შეუვრდა მუხლთა იესუისთა და ჰრქუა მას: განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ, უფალო. 9. რამეთუ განკვირვებამან შეიპყრა იგი და ყოველნი მისთანანი ნადირობასა მას თევზისასა, რომელი შეაყენეს. 10. ეგრეთვე იაკობ და იოვანე, ძენი ზებედესნი, რომელნი იყვნეს ზიარნი სიმონისნი. და იესუ ჰრქუა სიმონს: ნუ გეშინინ, სიმონ! ამიერითგან იყო კაცთა მონადირე. 11. და გამოადგინეს ნავი იგი ქუეყანად და დაუტევეს ყოველი და მისდევდეს მას.

განმარტება

მთელი ღამე იშრომეს მეთევზეებმა და ვერაფერი დაიჭირეს. უფალი ჩადგა მათ ნავში და ქადაგების შემდგომ უბრძანა, გადაეგდოთ ბადე; შედეგად იმდენი თევზი აღმოჩნდა მეთევზეთა ბადეში, რომ ვერ უძლებდა, სკდებოდა და მისი ამოთრევაც გაჭირდა.

სახარების ეს ეპიზოდი ყველანაირი გაწეული შრომის სახეა. ერთ შემთხვევაში კაცი ღვთის გარეშე ირჯება, მთელი ძალით შრომობს, მაგრამ უნაყოფოდ. მეორე შემთხვევაში კი ღმერთი მასთანაა. როცა კაცი მიზნის მიღწევას საკუთარ ძალებზე დაყრდნობით ცდილობს, თითქოს ყველაფერი ხელიდან ეცლება. მიუახლოვდება მას უფალი და სიკეთე სიკეთეს ემატება.

ღმერთის გარეშე სულიერ-ზნეობრივ ასპექტში წარმატების მიღწევა შეუძლებელია. „თვინიერ ჩემსა არარაი ძალგიძთ“,— ამბობს უფალი და ეს კანონი ყველგან მოქმედებს. ხიდან მოჭრილი ტოტი ვერ მოისხამს ნაყოფს და აუცილებლად გახმება. ასევეა ადამიანიც, ვისაც ღმერთთან ცოცხალი კონტაქტი დაკარგული აქვს, მას არ შეუძლია სიმართლის იმ ნაყოფთა გამოღება, რომლებიც მას საუკუნო ცხოვრებას მოაპოვებინებს. თუ ამგვარ ადამიანთა შორის სიკეთე მოიპოვება, იგი მხოლოდ გარეგნული და ზედაპირულია. ტყის მაჟალო ვაშლივითაა, გარედან დამკრახული ჩანს, გემოს გაუსინჯავ და კბილს მოგკვეთს.

ასევე გადის ყოველდღიური ცხოვრებაც, ცდილობ, იბრძვი და ყოველივე ამაოდ რჩება. მოეფინება შენს საქმეს ღვთის მადლი და ყოველივე თავისით ლაგდება. ისინი, ვინც ცხოვრების გზებს უკვირდებიან, კარგად იციან ეს უტყუარი ჭეშმარიტება.

სახარების დღევანდელი საკითხავი სვიმონ-პეტრესა და მაცხოვრის პირველ შეხვედრაზე მოგვითხრობს. აქ შესაძლებელია დავინახოთ ცვლილება, რომელიც განიცადა სვიმონ-პეტრემ მეთევზეო-